

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

ელენე ლოსურაშვილი

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მეთოდის  
სრულყოფის საკითხები სს „ქართული ლუდის კომპანიის“  
მაგალითზე

ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მერაბ ჯიქია- ეკონომიკის აკადემიური დოქტორი  
ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2020

## ანოტაცია

ბიზნეს გარემოს არასტაბილურ პირობებში არსებობს უამრავი, ისეთი გაუთვალისწინებელი ფაქტორი, რომლებიც დიდ გავლენას ახდენს საწარმოს მდგომარეობაზე. ყველა კომპანია არსებობისას უამრავ კრიზისს აწყდება, რაც მათ საქმიანობას აფერხებს და ხშირ შემთხვევაში აუარესებს, რაც შემდგომ იწვევს გაკოტრებას. ეკონომიკური სუბიექტების გაკოტრება მასობრივად მიმდინარეობდა 90-იან წლებში, რამაც ჩამოანგრია საქართველოს ეკონომიკა, დაიხურა საწარმოები, მოსახლეობის უმეტესობა უმუშევარი დარჩა. ამ და სხვა მსგავსი კრიზისების გამო, მეცნიერები გამუდმებით მსჯელობენ, საქართველოში არსებული საწარმოების ფინანსურად უზრუნველყოფის პრობლემებზე. ბოლო წლებში, ხელისუფლების მხრიდან, გადართა ბევრი ღონისძიება ბიზნესისა და წარმოების ხელშეწყობისათვის, თუმცა ჯერ კიდევ უამრავი პრობლემა რჩება გადაუჭრელი, მაგალითად თუ როგორ ამაღლდეს საწარმოს ეფექტიანობა და ა.შ, რის გამოც ძალიან ხშირად საწარმოები გადახდისუნარიები ხდებიან, რასაც შემდგომ ლიკვიდაცია მოსდევს.

აქედან გამომდინარე, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზი მუდამ აქტუალურია ყველა იმ დაინტერესებული პირისათვის ვინც თანამშრომლობს ამა თუ იმ საწარმოსთან, ისინი მუდმივად აქცევენ ყურადღებას საწარმოს მოსალოდნელ და მიმდინარე ეკონომიკურ მდგომარეობას. ფინანსური მდგომარეობის ანალიზი კი მართვისათვის ყველაზე პრიორიტეტული მიმართულებაა, რადგან დროული ანალიზი იმის გარანტიას აძლევს კომპანიას, რომ მოსალოდნელი გადახდისუნარიან სხვა არასასურველი გადახრა, დროულად იქნება იდენტიფიცირებული და შემდგომ, მოხდება შესაბამისი გეგმის შემუშავება. აქედან გამომდინარე, წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის მიზანია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასება, მასზე მოქმედი ფაქტორების განსაზღვრა და ანალიზი, რისთვისაც გამოყენებულია შესაბამისი კოეფიციენტები და განსაზღვრულია ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ მდგომარეობაზე.

## ANNOTATION

In the unstable conditions of the business environment, there are many such unforeseen factors, which have a major impact on the state of the enterprise. Every company faces a lot of crises when it exists, which hinders and often worsens their activities, which then leads to bankruptcy. The bankruptcy of economic entities was massive in the 1990s, which destroyed the Georgian economy, the enterprises were closed, most of the population remained unemployed. In recent years, the government has revived many measures for business and production, however, there are still many unresolved issues, for example, how to increase the efficiency of the enterprise, etc. Due to which very often enterprises become insolvent, which leads to further liquidation.

Therefore, the analysis of the financial condition of the enterprise is always relevant for all those interested in cooperating with this or that enterprise, they are constantly paying attention to the expected and current economic situation of the enterprise. Financial situation analysis is the most priority direction for management, because timely analysis guarantees the company that the expected insolvency or other undesirable deviation, will be identified in time and then an appropriate plan will be developed. Therefore, the present master's thesis aims to assess the financial condition of the enterprise, to determine and analyze the factors affecting it, for which the appropriate coefficients are used, and to determine the factors that affect the financial situation.

# ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი .....	5
თავი 1. ფინანსური ანალიზი და კომპანიის განვითარების სტრატეგია .....	10
1.1. ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მიზანი, ამოცანები და მეთოდოლოგია .....	10
1.2. მიმდინარე გადახდისუნარიანობისა და ლიკვიდობის ანალიზი.....	21
თავი 2. ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მეთოდოლოგიის სრულყოფის საკითხები .	33
2.1. საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასება.....	33
2.2 ფულადი ნაკადების მოძრაობის ანალიზი .....	46
2.3 საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის მაჩვენებლების შეფასება და ანალიზი ...	56
2.4 საწარმოს საქმიანი აქტივობის შეფასება და ანალიზი.....	62
2.5 საწარმო-ფინანსური ლევერიჯის შეფასება და ანალიზი .....	67
დასკვნა .....	72
ბიბლიოგრაფია .....	77
დანართი .....	81

## შესავალი

**თემის აქტუალობა.** როგორც ამბობენ: „ვინც ფლობს ინფორმაციას, ის მართავს კიდეც სიტუაციას“. სწორი ინფორმაციის მიღება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, საუკეთესო გზაა პრობლემების დროული იდენტიფიკაციისა და რელევანტური ნაბიჯების გადასადგმელად. სრული და დეტალური ინფორმაციის მიღება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ არის საუკეთესო გზა კომპანიის განვითარებისათვის.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში აქტუალურია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესწავლა, საქართველოს ეკონომიკისათვის კი მუდმივად დასაძლევ პრობლემებს წარმოადგენს ფინანსური პრობლემების მქონე საწარმოებში კრიზისის დაძლევა, განსაკუთრებით კი ბოლო დროს ჩვენს ქვეყანასა და მსოფლიოში მომხდარი პროცესების ფონზე (COVID 19), მეტად აქტიურად დაიწყეს კომპანიის მმართველებმა საკუთარი კომპანიების ფინანსური მდგომარეობის ანალიზი, რათა უკეთ გაიგონ რა საფრთხეები და შესაძლებლობები გააჩნია კომპანიას, რათა დროულად მიიღონ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ღირს თუ არა ამ ეტაპზე მუშაობის გაგრძელება; დღის წესრიგში დააყენეს კომპანიის მმართველებმა ფინანსური ანგარიშგების ანალიზი, რადგან გამოიკვლიონ რამდენად შეძლებენ ამ კრიზისის დროს სამუშაო ძალის შენარჩუნებას, შეეძლება თუ არა ხელფასების გაცემა, რამდენ ხანს შეუძლიათ ამ კრიზისის თავიდან აცილება და ა.შ.

ყველა კომპანიას ყავს ინვესტორი, კრედიტორი, მმართველები, მენეჯერები და თანამშრომლები - პირები, რომლებიც თანამშრომლობენ ან აპირებენ თანამშრომლობას კონკრეტულ კომპანიასთან, დიდ ყურადღებას აქცევენ მათ მიმდინარე და მოსალოდნელ ეკონომიკურ მდგომარეობას. ინვესტორებს აინტერესებთ, თუ რა მოგების მიღებაა შესაძლებელი; კრედიტორები იკვლევენ, რამდენად გადახდისუნარიანია კომპანია, რადგან კრედიტორებისათვის

უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს გადახდისუნარობისგან თავის არიდება.

დღეს, საქართველოში აქტუალური პრობლემაა არა გადახდისუნარო კომპანიის ლიკვიდაცია, არამედ პირიქით, ასეთი კომპანიების კრიზისების მართვა და თავიდან აცილება. ფინანსური მდგომარეობის ანალიზი კი გვამძლევს კომპანიის მართვის მნიშვნელოვან მიმართულებას და მიზნად ისახავს, რომ დროულად იქნას გამოვლენილი და შესწავლილი კრიზისული საკითხები. აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში, ხელისუფლების მიერ ბიზნესისა და წარმოების ხელშეწყობისათვის უამრავი ღონისძიება გატარდა, თუმცა ჯერ კიდევ არსებობს ბევრი გადაუჭრელი პრობლემა. თუმცა, აღსანიშნავია ის დადებითი სტატისტიკური სურათი, სადაც ვხედავთ თუ როგორ იზრდება ყოველწლიურად რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა (წყარო საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური).

**ცხრილი N1. საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა**

წლები	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
რეგისტრირებულ ორგანიზაციათა რაოდენობა წლების მიხედვით-ნაზარდ ჯამი, ათასი	498,8	534.5	571.6	596.7	634.1	679.3	722.9	765.7
მათ შორის:								
მოკმედ ორგანიზაციათა რაოდენობა, ათასი	127.6	131.0	134.8	164.4	167.5	165.2	164.9	183.8
რეგისტრირებულ სუბიექტთა რაოდენობა წლების მიხედვით-ნაზარდი ჯამი, ათასი	473.8	507.7	543.3	566.6	601.1	643.9	686.3	727.8
მათ შორის:								
მოკმედ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა, ათასი	121.7	124.9	128.5	158.0	160.9	158.6	158.3	176.7
ახალდარეგისტრირებულ ორგანიზაციათა რაოდენობა წლების მიხედვით, ათასი	42.6	46.7	47.1	45.9	48.3	52.7	51.8	50.9
მათ შორის:								
ახალდარეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა, ათასი	41.3	44.8	45.5	44.0	45.4	50.1	50.4	49.6

როგორც სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებიდან ვხედავთ, ყოველწლიურად იზრდება საწარმოთა რაოდენობა, რაც იმას გულისხმობს რომ ფინანსური ანალიზის მნიშვნელობაც უნდა გაიზარდოს, რადგან მოცემულ კომპანიებს მუდამ სჭირდებათ მდგომარეობის შეფასება, პერსპექტივების, შესაძლებლობებისა და ნაკლოვანებების გამოვლენა.

ამას გარდა, კომპანია, თავისი ფინანსური მდგომარეობით არის მიმზიდველი როგორც ინვესტორებისათვის, ასევე მიმზიდველია შრომის ბაზარზე, როგორც სტაბილური დამსაქმებელი.

აუცილებელია შევისწავლოთ და გავაანალიზოთ საწარმოს ფინანსური მდგომარეობა, რაშიც გვხმარება ეკონომიკური და ფინანსური ანალიზი. ანალიზისას შეიძლება გამოვლინდეს, როგორც სასურველი, ასევე არასასურველი გადახები, თუმცა არასასურველი გადახრა ერთმნიშვნელოვნად გაკოტრებას არ ნიშნავს, არასასურველი გადახრების დროს აუცილებელია გამოვიკვლიოთ მიზეზები, თუ რამ გამიწვია იგი. ამ მიზეზების იდენტიფიკაცია, საწარმოს დაეხმარება მდგომარეობის გასაუმჯობესებელი ღონისძიებების გატარებაში.

**ნაშრომის მიზანს** წარმოადგენს ფინანსური მდგომარეობის შეფასება, მნიშვნელობის განსაზღვრა, საწარმოდ ფინანსური მდგომარეობის ანალიზის თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული მეთოდებით ანალიზის გამოყენებით საწარმოს ეკონომიკურ მდგრადობაზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენა და შესწავლა, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებების შემუშავება. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის უმთავრესი მიზანია ობიექტურად იქნას შეფასებული საწარმოს წარსული და ახლანდელი საქმიანობა, ასევე ობიექტურად იქნას შეფასებული მომავალში მოსალოდნელი განვითარების სტრატეგიის შემუშავება.

**კვლევის საგანი.** სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესაფასებლად საჭირო კოეფიციენტების იდენტიფიკაცია, შესწავლა და

ანალიზი, კერძოდ, ლიკვიდურობის, კრედიტუნარიანობის, ფინანსური მდგრადობის, გაკოტრების რისკის და გადახდისუნარიანობის ანალიზი და შესაბამისი დასკვნების გამოტანა, გაანალიზებული მონაცემების საფუძველზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, **კვლევის ობიექტად** შევარჩიეთ, სს „ქართული ლუდის კომპანიის“ საქმიანობა და მისი ფინანსური მდგომარეობის შეფასება.

**კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიურ ბაზა.** კვლევაში გამოვიყენეთ ქართველი და უცხოელი მეცნიერების ნაშრომები ეკონომიკური თეორიასა და საწარმოს ფინანსების სფეროში, კვლევის პროცესში გამოყენებულია ეკონომიკური და ფინანსური ანალიზის ხერხები, შედარების მეთოდები, კოეფიციენტების მეთოდები და სხვა.

კვლევის პროცესში მიღებულ იქნა შემდეგი **ძირითადი მიგნებები**: საწარმოს ფინანსური მდგომარეობა შესაძლოა იყოს არამდგრადი, მდგრადი ან კრიზისული. (ჯიქია, მ., 2018). მდგრადი ფინანსური მდგომარეობა დადებით გავლენას ახდენს საწარმოზე, ამიტომ საწარმოს ეკონომიკური მდგრადობისა და მისი წარმატება-წარუმატებლობის დადგენისათვის საჭიროა ფინანსური მდგომარეობა შეფასდეს კომპლექსურად, შესაბამისი ფინანსური კოეფიციენტების გამოყენებით, რათა დროულად მოხდეს ნებისმიერი არასასურველი გადახრის იდენტიფიცირება და თავიდან აცილება; საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მისი გადახდისუნარიანობის გაუმჯობესების რეზერვების გამოვლენა.

ჩვენს მიერ არჩეული და გაანალიზებული კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, საანალიზოდ აღებულ პერიოდებში საკმაოდ სტაბილურია, თუმცა ფინანსური კოეფიციენტების გამოყენებით ჩატარებული უფრო სიღრმისეული ანალიზისას დავინახეთ გარკვეული ნაკლოვანებები, რომელის გამოსასწორებლადაც კომპანიის მმართველობამ და მენეჯერებმა უნდა შეადგინონ გარკვეული სამოქმედო გეგმა და ამ გეგმის მიხევით ეცადონ აღნიშნული ნაკლოვანებების გამოსწორებას.



**ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა.** ქვემოთ მოცემული სამაგისტრო ნაშრომი შედგება 89 გვერდისაგან, რომელიც დაყოფილია 2 თავად. I თავში მოცემულია ფინანსური ანალიზი და კომპანიის განვითარების სტრატეგიები. II თავში კი ჩატარებულია საანალიზოს საწარმოს ფინანსური ანალიზი და დადგენილია ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მეთოდის სრულყოფის საკითხები.

I თავი შედგება ორი ქვეთავისაგან: 1.1. ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მიზანი, ამოცანები და მეთოდის; 1.2. მიმდინარე გადახდისუნარიანობისა და ლიკვიდობის ანალიზი

ხოლო II თავში წარმოდგენილია 5 ქვეთავი: 2.1. საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასება; 2.2 ფულადი ნაკადების მოძრაობის ანალიზი; 2.3 საბრუნავი საშუალებების ბრუნვალობის მაჩვენებლების შეფასება და ანალიზი; 2.4 საწარმოს საქმიანი აქტივობის შეფასება და ანალიზი; 2.5 საწარმო-ფინანსური ლევერიჯის შეფასება და ანალიზი. აქვეა პრაქტიკული ანალიზის ნაწილი, რის საფუძველზეც გაკეთებულია დასკვნები და შემუშავებულია რეკომენდაციები.

თემის ბოლოში არის დასკვნა რეკომენდაციებით და გამოყენებული ლიტერატურა.

# თავი 1. ფინანსური ანალიზი და კომპანიის განვითარების სტრატეგია

## 1.1 ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მიზანი, ამოცანები და მეთოდика

საქართველოს ეკონომიკის გადასვლა საბაზრო ურთიერთობებზე და ქვეყანაში ბოლო დროს განითარებული მოვლენების გამო (COVID 19) კომპანიებისათვის დღის წესრიგში დადგა ეკონომიკასა და საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების ახლებურად და დროულად გაანალიზების საჭიროება. ახალ გარემოში ფუნქციონირებისათვის კომპანიებს სჭირდებათ სამოქმედო მექანიზმის შექმნა, რაშიც მათ ანალიზი ეხმარება.

ბიზნესს მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, თუ იგი მომგებიანია, ეს კი მიიღწევა შექმნილი მდგომარეობის, განვითარებისა და კრიზისების ტენდენციების შესწავლით, რაც მიიღება სამეურნეო პროცესებში ზუსტი ინფორმაციის მიღებითა და დამუშავებით. სიტყვა „ანალიზი“ ბერძნული წარმოშობისაა (ბერძნულად- გახსნა, დაშლა) და ნიშნავს საკვლევი ობიექტის ან ეკონომიკური მაჩვენებლის დაშლას შემადგენელ ნაწილებად, რაც საშუალებას გვაძლევს ღრმად ჩავწვდეთ მოვლენებს, დავინახოთ მთელის კავშირი ნაწილებთან - მაშასადამე ანალიზი სინამდვილის კვლევის მეთოდია. ეჭვგარეშეა, რომ ანალიზური დასკვნების დროულობასა და ხარისხიანობაზე დიდადაა დამოკიდებული მართვის პროცესში მიღებული გადაწყვეტილებების ხარისხი. მართვის სისტემა შედგება შემდეგი ურთიერთდაკავშირებული ფუნქციებისაგან, ესენია: დაგეგმვა; აღრიცხვა და კონტროლი; ანალიზი და მმართველობითი გადაწყვეტილება (იხ. სქემა N 1.1.1).

**სქემა N 1.1.1. ანალიზის როლი მართვის სისტემაში**

მმართველი სისტემა			
დაგეგმვა	აღრიცხვა და კონტროლი	ანალიზი	მმართველობითი გადაწყვეტილება

ანალიზი, ხელმძღვანელობას საშუალებას აძლევს გამოავლინოს მატერიალური, შრომითი და ფულადი რესურსების რეზერვები; გამონახოს წარმოების ეფექტიანობის ამაღლების გზები და თავიდან აიცილოს მოსალოდნელი ფინანსური რისკები. ფინანსური ანალიზი კვლევის ორ ძირითად მიმართულებას მოიცავს: საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მეთოდიკას და საწარმოს თემატური ფინანსური ანალიზის მეთოდიკას (მაგ.: ფინანსური სტაბილურობის, რისკების და ა.შ).

ანალიზის საგანია საწარმოთა ეკონომიკური საქმიანობის შედეგების ამსახველ მაჩვენებელთა ნებისმიერი გადახრა ანუ ცვლილება. აქედან გამომდინარე, მისი მიზანია საწარმოს საფინანსო-ეკონომიკური შესაძლებლობების ზრდა, ანუ ფარული რეზერვების გამოვლენა. ცხადია, რეზერვები ფარულია, რადგან ნათლად არ ჩანს და მას მხოლოდ გამოკვლევის შედეგად ვიღებთ, სწორედ სტრუქტურული და სწორი ანალიზის მეშვეობით არის შესაძლებელი რეზერვების გამოვლენა და სწორი რეკომენდაციების გაცემა მმართველებისათვის. საწარმოს ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მის მიერ განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების სტრუქტურულად ჩამოყალიბებულ ფინანსურ სურათს. მისი მიზანია, მიაწოდოს მომხმარებლებს (იხ. სქემა N 1.1.2) საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის შედეგებისა და ფულადი საშუალებების მოძრაობის შესახებ ინფორმაცია. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია მის მომხმარებლებს აძლევს ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების საშუალებას. მიწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს უტყუარი და სამართლიანად წარდგენილი.

**სქემა N 1.1.2. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლების ჯგუფები**

ძირითადი მომხმარებელი ჯგუფები	შენატანი	კომპლექსაციის მოთხოვნები	ფინანსური ანალიზის მდგომარეობა
მფლობელები	საკუთარიკაპიტალი	დივიდენდები	ფინ.შედეგები და ფინ.მდგომარეობა
ინვესტორები/ მსესხებლები	ნასესხებიკაპიტალი	პროცენტები	კრედიტუნარიანობა
მმართველები (ადმინისტრაცია)	საქმის ცოდნა და მართვის გამოცდილება	შრომის ანაზღაურება და ზეგანაკვეთური შემოსავალი	საწარმოს მოღვაწეობის ყველა მხარე
მუშაკები	შრომის იარაღებისადა საშუალებების ამოქმედება	ხელფასი, პრემიები, სოციალური პირობებ	საწარმოს ფინანსური შედეგები
მომწოდებლები	პროდუქციის წარმოების უწყვეტობის და ეფექტური უზრუნველყოფა	სახელშეკრულებო ფასი	გადახდისუნარიანობა
კლიენტები (მომხმარებლები)	პროდუქციის რეალიზაცია	სახელშეკრულებო ფასი	საწარმოს ფინანსური შედეგები
საგადასახადო ორგანოები	საზოგადოების მომსახურება	გადასახადების დროული და სრული გადახდა	საწარმოს ფინანსური შედეგები

ზემოთ ჩამოთვლილი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები, თავის მხრივ, პირობითად, შეგვიძლია დავეყთ ორ ნაწილად: მომხმარებლებად, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ორგანიზაციის საქმიანობის შედეგებით და სუბიექტებად, რომლებიც ფინანსური ანალიზის შედეგებს იყენებენ თავიანთი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობა სულ უფრო და უფრო წინა პლანზე იწევს, განსაკუთრებით ბოლო დროს განვითარებული მოვლენების შემდეგ, რადგან ყველა საწარმოს სურს დროულად ჰქონდეს ინფორმაცია, ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: შეუძლია თუ არა გასცეს ხელფასები; შეძლებს თუ არა საკუთარი საქმიანობის დაფინანსებას; შეუძლია თუ არა იფიქროს გაფართოებაზე. ამისათვის კი უდიდესი

მნიშვნელობა ენიჭება ფინანსურ ანალიზს ანუ ეკონომიკური მაჩვენებლების შესწავლასა და გაანალიზებას.

ეკონომიკური მაჩვენებელი არის ამა თუ იმ ეკონომიკური მოვლენის შედეგის რიცხვითი მახასიათებელი, რაოდენობრივ და თვისობრივ მხარეთა ურთიერთკავშირში. (ჭილაძე, ი., 2018). საწარმოს ეკონომიკური მაჩვენებლები შეიძლება იყოს რაოდენობრივი და ღირებულებითი. რაოდენობრივი მაჩვენებლით მოვლენები იზომება ნატურალურ ერთეულებში, როგორცაა: კილოგრამები, საათები და ა.შ. ღირებულებითი მაჩვენებლები კი ნებისმიერ მონაცემებს ფულად-ღირებულებით ფორმაში განიხილავენ. რაოდენობრივი და ღირებულებითი მაჩვენებლები თავის მხრივ შესაძლებელია დაიყოს აბსოლუტურ და ფარდობით მაჩვენებლებად.

აბსოლუტური მაჩვენებლებით შეგვიძლია გავზომოთ ეკონომიკური მოვლენები და მათი შედეგები რაოდენობრივად, მაგალითად საოპერაციო წლის განმავლობაში მიღებული მოგება.

ფარდობითი მაჩვენებლები მიიღება აბსოლუტური მაჩვენებლების შეფარდებით და გვამღვეს თვისობრივ შედეგებს, მაგალითად მოგების ნორმა, რაც გამოითვლება მოგების შეფარდებით შემოსავალთა.

ფინანსური ანალიზის საერთაშორისო თეორიასა და პრაქტიკაში არსებობს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების უამრავი მაჩვენებელი, რომლებიც პირობითად შეგვიძლია დავაჯგუფოთ, როგორც : ზოგადი მაჩვენებლები; ქონებრივი მდგომარეობის შეფასების კოეფიციენტები; გადახდისუნარიანობისა და ლიკვიდურობის მაჩვენებლები; საქმიანი აქტივობის მაჩვენებლები; მოგებისა და მომგებიანობის მაჩვენებლები; ფინანსური მდგრადობის შეფასების მაჩვენებლები.

ზოგად მაჩვენებლების მიეკუთვნება: 1. ვერტიკალური ანალიზი ანუ სტრუქტურული ანალიზი- თითოეული მაჩვენებლის შედარება მთლიან შედეგთან; 2.

ჰორიზონტალური ანალიზი ანუ დროის მიხედვით ანალიზი - ფინანსური ანგარიშგების თითოეული პოზიციის შედარება გასულ წლებთან, რაც მკვლევარს ეხმარება ტენდენციების გამოვლენასა და ზრდის ტემპების დადგენაში; 3. შედარებითი ანალიზი - რომლის დროსაც შესაძლებელია ჩატარდეს საწარმოთაშორის, ან ქვედანაყოფებს შორის ანალიზი. სწორედ ეს კოეფიციენტები გამოიყენება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისა და მისი გადახდისუნარიანობის ანალიზისათვის, ასევე საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღების გზების დასადგენად.

ზოგადად, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზი მეტად კომპლექსურია, იგი ყოველთვის საჭიროებს რამდენიმე კოეფიციენტისა და მონაცემის ანალიზს და კონკრეტული მონაცემთა სისტემის ჩამოყალიბებას. ამ კოეფიციენტთა სისტემის ანალიზით ვიღებთ ისეთ კითხვებზე პასუხებს, როგორებიცაა: აქვს თუ არა საწარმოს შესაძლებლობა წარმატებით იფუნქციონიროს და განვითარდეს? შეუძლია თუ არა შეინარჩუნოს აქტივებსა და ვალდებულებებს შორის წონასწორობა, როგორც შიდა ასევე გარე ცვალებად გარემოში? ინარჩუნებს თუ არა დაბალი რისკის დონეს, რაც ხდის მას მიმზიდველს ინვესტორებისათვის? თუ ანალიზმა ამ კითხვებზე დადებითი პასუხი მოგვცა, ეს გულისხმობს, რომ საწარმო სტაბილურია და პირიქით. თუკი ჩვენ გვინტერესებს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გარე მხარე, უნდა შევისწავლოთ გადახდისუნარიანობა; სტაბილურობა კი საწარმოს შიდა მხარეა, რომელიც ასახავს ფულადი და სასაქონლო ნაკადების, შემოსავლებისა და ხარჯების, შემოსავლებისა და მათი წყაროების ბალანსს. საწარმოს საქმიანობის მთავარ მიზანია - საკუთარი კაპიტალის გაზრდა და ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნება ბაზარზე. სწორედ ამისთვის, ხელმძღვანელობამ და ფინანსურმა მენეჯერმა უნდა გამოიყენონ ზემოთ ჩამოთვლილი კოეფიციენტები და შეაფასონ საწარმოს გადახდისუნარიანობა და სტაბილურობა, აგრეთვე მიაღწიონ ოპტიმალურ სტრუქტურას აქტივებისა და პასივებისათვის.

პრაქტიკულად, თუ როგორ და რა თანმიმდევრობით ჩაატაროს საკუთარ საწარმოში ფინანსური მდგომარეობის ანალიზი, დამოკიდებულია ანალიზის მიზანსა და ინფორმაციულ ბაზაზე. თუმცა, ძირითადად, ანალიტიკოსი საწყის ეტაპზე ირჩევს კვლევის მიმართულებას, პრიორიტეტის მიხედვით და შემდგომ იწყებს მოქმედებას. მოქმედება და ანალიზის პრიორიტეტი შესაძლებელია შეიცვალოს კვლევის პროცესში.

აღსანიშნავია, რომ ფინანსური მდგომარეობის ანალიზი ძირითადად დაფუძნებულია შეფარდებით მაჩვენებლებზე, რადგან აბსოლუტური მაჩვენებლები არ გვაძლევს შედარების შესაძლებლობას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია დღევანდელ მდგომარეობაში, როცა ეკონომიკაში ინფლაციასთან ერთად უამრავი ეკონომიკური რყევები და კრიზისები შეინიშნება. ფარდობითი მაჩვენებლები საშუალებას გვაძლევს შედარება და ანალიზი გავაკეთოთ ისეთ საყოველთაოდ მიღებულ ნორმებთან მიმართებით, როგორებისაა რისკის შეფასება და მოსალოდნელი გაკოტრების პროგნოზირება. ასევე შევადაროთ გასული წლების მაჩვენებლებს, შევისწავლოთ ტენდენცია; ან შევადაროთ სხვა საწარმოების იდენტური ან ანალოგიური მაჩვენებლები, რაც მოგვცემს საშუალებას დავაიდენტიფიციროთ საწარმოს ძლიერი და სუსტი მხარეები, გამოვავლინოთ შესაძლებლობები.

ფინანსური საქმიანობის მთავარ მიზანს წარმოადგენს იმის განსაზღვრა თუ სად, როდის და როგორ გამოიყენოს საწარმომ საკუთარი რესურსები, წარმოების განვითარებისა და მოგების მაქსიმიზაციისათვის. საწარმოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის კი აუცილებელია ფინანსური რესურსები, რომლებიც მინიმალური დანახარჯებით გადაიქცევა მატერიალურ და შრომით რესურსებად. (ჩეჩელაშვილი, ა., 2013).

საწარმოს ფინანსური მდგომარეობა (თურმანიძე, თ., 2014) - ეს არის იმ მაჩვენებლების ერთობლიობა, რომელიც ასახავს მის შესაძლებლობას დაფაროს საკუთარი ვალდებულებები. ამასთან, ფინანსური მდგომარეობას საწარმოს მიმდინარე საოპერაციო, ფინანსური და საინვესტიციო საქმიანობის მაჩვენებლებსაც

აერთიანებს. ამგვარად ფინანსური მდგომარეობა განსაზღვრავს, თუ რამდენად ნომინალურად ფუნქციონირებს საწარმო, შეუძლია თუ არა საწარმო დროულად გასცეს ხელფასები, დააფინანსოს საკუთარი საქმიანობა და ჰქონდეს გაფართოების პოტენციალი.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ძირითადი მიზანია იმ კოეფიციენტების მიღება, რომელიც იძლევა კომპანიის ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალისა და პროდუქციის რენტაბელობის ობიექტურ სურათს. (ჭილაძე, ი., 2018)

დღეს შექმნილი მსოფლიო პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო, საწარმოს მთავარი ამოცანაა გაკოტრების თავიდან აცილება და წარმოების პროცესის შენარჩუნება, რისთვისაც საჭიროა ფინანსების გონივრულად მართვა, კაპიტალის სტრუქტურის შესწავლა, საკუთარ და ნასესხებ კაპიტალს შორის ოპტიმალური ხვედრითი წილის დადგენა. ამისათვის მმართველმა რგოლმა უნდა შეისწავლოს ლიკვიდურობა, გადახდისუნარიანობა, ფინანსური მდგრადობა, კრედიტუნარიანობა, საქმიანი აქტივობა და რისკის ხარისხი, რაც მიიღწევა ფინანსური ანალიზით. ფინანსური მდგომარეობის ანალიზი მნიშვნელოვანია, როგორც უშუალოდ კომპანიის მმართველებისა და მენეჯმენტისათვის, ასევე კრედიტორებისათვის, სამთავრობო, სახელისუფლებო და საგადასახადო ორგანოებისათვის, რითაც მათ ექმნებათ გარკვეული წარმოდგენა კომპანიის საფინანსო-სამეურნეო მდგომარეობაზე. მაშასადამე, ამ და სხვა მრავალი მიზეზის გამო ფინანსური ანალიზი დიდ მნიშვნელობას იძენს ყველა დაინტერესებული მხარისათვის.

გამოყოფენ ფინანსური ანალიზის ორ სახეს: შიდა ფინანსური ანალიზი და გარე ფინანსური ანალიზი (თურმანიძე, თ., 2014). შიდა ანალიზის მიზანია მმართველობითი გადაწყვეტილების შეფასება ორგანიზაციის განვითარების სტრატეგიის შესაბამისად. იგი ფინანსური საქმიანობის მართვის შემადგენელი ნაწილია და ამიტომ შიდა ფინანსურ ანალიზს ძირითადად კომპანიის მმართველები ან ფინანსური მენეჯერი ატარებს, მის ხელთ არსებული ყველა ფინანსური თუ



არაფინანსური ხასიათის ინფორმაციის გამოყენებით. შიდა ანალიზი მენეჯმენტს აძლევს ფინანსური პოზიციების სურათის დანახვის შესაძლებლობას, თუმცა მათი მიზანი მხოლოდ ეს არ უნდა იყოს, მენეჯმენტმა უნდა შეიმუშაონ ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების პოლიტიკა და მოსალოდნელი საფრთხეების თავიდან არიდებისა და გაძლების ღონისძიებები, რაც მხოლოდ ანალიზით ვერ ხერხდება, და საწარმოს მენეჯმენტმა უნდა მოიპოვოს სხვა დამატებითი ინფორმაციები. მაშასადამე, მენეჯმენტმა სწორი პოლიტიკისა და განვითარების სტრატეგიის შესამუშავებლად უნდა იხელმძღვანელოს, როგორ შიდა და გარე ფინანსური ანგარიშგებით, ასევე მას უნდა ჰქონდეს საწარმოს ფინანსური და არაფინანსური ინფორმაცია, ბიზნეს-გეგმა, შიდა და გარე აუდიტორების დასკვნები, კონკურენტი და მაღალრეიტინგული კომპანიების ფინანსური მაჩვენებლები და ა.შ. ამ ყველა ინფორმაციის სისტემური ანალიზის საშუალებით მენეჯმენტს შეუძლია სწორი და ნათელი გადაწყვეტილებების მიღება და სტრატეგიის შემუშავება.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მეშვეობით დგინდება ის პრობლემები და ფაქტორები, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის ფინანსურ სტაბილურობას. ფინანსური მდგომარეობის ანალიზი იძლევა იმის საშუალებას, რომ განვსაზღვროთ კომპანიის შესაძლებლობები და ვიპოვოთ ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების გზები. რისთვისაც საჭიროა შესაფერისი სტრატეგიისა და სათანადო მეთოდის შემუშავება, რისთვისაც საჭიროა რამდენიმე ძირითადი ეტაპის გავლა: 1. მოსამზადებელი ეტაპი; 2. ინფორმაციის ანალიზური დამუშავება; 3. ანალიზის დასკვნები/ ინტერპრეტაციები და რეკომენდაციები.

საწყის ეტაპზე (მოსამზადებელი ეტაპი) ხდება საანალიზო საწარმოს საქმიანობისა და თავისებურებების შესწავლა, ანალიზის გეგმის შემუშავება და რელევანტური ინფორმაციის მოგროვება. ამ ეტაპზე ხდება ფინანსური ანგარიშგების შემოწმებაც; მეორე ეტაპზე (ინფორმაციის ანალიზური დამუშავება) ხდება ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული ახსნა-განმარტებების შესწავლა და ანალიზი, ასევე ამ

ეტაპზე ხორციელდება მოგროვებული ინფორმაციის დაჯგუფება, დახარისხება, ანალიზური გამოკვლევა და გადახრების შესწავლა. ეს ინფორმაცია მკვლევარმა უნდა დაახარისხოს სამუშაო ცხრილებად. რასაც, საერთაშორისო პრაქტიკაში ანალიზის ოქროს წესს უწოდებენ - „ყველაფერი მოათავსე ცხრილში“; ბოლო ეტაპზე (დასკვნითი ეტაპი) ხდება მიღებული შედეგების გადამოწმება, დაზუსტება და საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება (ჭილაძე, ი., 2018).

ფინანსური ანგარიშგების ანალიზის სტრატეგია საშუალებას იძლევა მოხდეს კონცენტრირება იმ გადაწყვეტილებათა ვარიანტების მიღებაზე, რომლებიც არ ეწყინა აღმდგება დასახულ მიზნებს. ფინანსური მდგომარეობის ანალიზის დასრულების შემდგომ, როგორც მიმართულება და დასახული მიზნის მიღწევის საშუალება, ფინანსური ანგარიშგების ანალიზის სტრატეგია წყვეტს არსებობას. ხოლო იმ შემთხვევაში თუ დაისახება ახალი ამოცანები და მიზნები, საჭირო ხდება ახალი სტრატეგიის შემუშავება.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის სტრატეგიით დასახული მიზნების მიღწევის კონკრეტული მეთოდი და ხერხები ტაქტიკას წარმოადგენს. ტაქტიკის ამოცანაა ოპტიმალური გადაწყვეტილებებისა და მოცემულ საწარმოსა და მოცემულ სიტუაციაში მისაღები მეთოდისა და ხერხების შერჩევა (ჩეჩელაშვილი, ა., 2013). თუმცა, მიუხედავად იმისა რა ხერხები იქნება შემუშავებული ანალიზისათვის, ნებისმიერი ფინანსური ანალიზის ძირითადი მიზანია, შეაფასოს საწარმოს ფინანსური მდგომარეობა, გაკეთდეს ადეკვატური დასკვნები და და გაიცეს რელევანტური რეკომენდაციები საქმიანობის სრულყოფისათვის და ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

ფინანსური ანალიზი უნდა იძლეოდეს რაციონალური დაგეგმვისა და მომავალი შემოსავლების სწორად განსაზღვრის საშუალებას, რისთვისაც ანალიზის დროს გამოიყენება როგორც მიმდინარე, ასევე წინა პერიოდების ფინანსური

ანგარიშგებები, რაც საშუალებას მოგვცემს უკეთესად შევაფასოთ მომავალი. ანალიზის დროს უმთავრესია სწორად შეირჩეს რელევანტური ინფორმაცია და მოხდეს მისი ინტერპრეტაციების ანალიზი, რაც შესაძლებლობას მოგვცემს მივიღოთ ხელსაყრელი გადაწყვეტილება ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ინფორმაციის შერჩევისას უპირველესია სწორად განისაზღვროს ინფორმაციის რაოდენობა, ტიპი და ინფორმაციის ხარისხი, რათა მოვახდინოთ ინფორმაციის სრულფასოვანი ანალიზი და შესადარისი იყოს რეალურთან. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს 1) თანახმად, ფინანსური ანგარიშგება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ხარისხობრივ მახასიათებლებს: აღქმადობას, შესაბამისობას, საიმედოებასა და შესადარისობას.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ჩასატარებლად კი გამოიყენება ფინანსური ანგარიშგების შემდეგ ფორმათა მონაცემები:

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ანუ ბუღალტრული ბალანსი;
2. პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგება ანუ მოგება/ზარალის ანგარიშგება;
3. პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება;
4. პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგება;
5. განმარტებითი შენიშვნები, სადაც მოკლედ განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია. მასში შეიძლება აისახოს ფინანსური შედეგების განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორები და პირობები, მათში მომხდარი ცვლილებები და საწარმოს რეაგირება ამ ცვლილებებზე; ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად წარმოშობილი რისკების ბუნება და დონე, რომლებიც საწარმოზე გავლენას ახდენდა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში; ასევე შეაფასოს როგორ მართავს საწარმო ამ რისკებს [ბასს 1, მუხლი 10; ფასს1.]

ფინანსური მდგომარეობის ანალიზი უნდა დავიწყოთ ბუღალტრული ბალანსით, რაც ზოგად წარმოდგენას შეგვიქმნის საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე

და შემდგომში განსაზღვრავს ანალიზის ჩატარების მიმართულებას, მოცულობასა და სიღრმეს. ბალანსში დაფიქსირებული მონაცემების ანალიტიკური დამუშავება საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ საწარმოს ფინანსურ მდგრალობაზე, მივიღოთ გადაწყვეტილება არსებული ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და სხვა. ბუღალტრულ ბალანსში აისახება, საწარმოს აქტივები, ვალდებულებები და კაპიტალი დროის გარკვეული მომენტისათვის, ფულად ფორმაში. ბალანსში მოცემული ინფორმაცია ახასიათებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას, კერძოდ: გადახდისუნარიანობას, ლიკვიდურობას, საკუთარი კაპიტალის მომგებიანობას, მოზიდულ და ნასესხებ კაპიტალს შორის თანაფარდობას. ბალანსი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ გარკვეული ტენდენციები და გავაკეთოთ პროგნოზები საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებით.

ბუღალტრული ბალანსი იძლევა პასუხებს ისეთ კითხვებზე, როგორცაა: რამდენად დამოუკიდებელია საწარმო ფინანსურად; შეუძლია თუ არა დროულად დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები; გააჩნია თუ არა საკუთარი საბრუნავი კაპიტალი და ა.შ. ამ კითხვებზე პასუხისათვის შეისწავლება ბალანსის აბსოლუტური და ფარდობითი მაჩვენებლები, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებაზე დამოკიდებულების მიხედვით, იყოფა: კერძო და კომბინირებულ მაჩვენებლებად. ბუღალტრული ბალანსი (ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება) მაშინ არის პოზიტიური, თუკი მიმდინარე აქტივების ზრდის ტემპი უსწრებს გრძელვადიანი აქტივების ზრდის ტემპს, ხოლო საკუთარი კაპიტალის ზრდის ტემპი უსწრებს ვალდებულებების ზრდის ტემპს და ბალანსში არ არის ზარალი

## 1.2 მიმდინარე გადახდისუნარიანობისა და ლიკვიდობის ანალიზი

ზოგადად სიტყვა „ლიკვიდურობა“ ლათინური სიტყვისგან „ლიქუიდუს“-იდან მომდინარეობს, რაც თხევადს, მოძრავს აღნიშნავს. ტერმინი „ლიკვიდურობა“ ეკონომიკაში გამოიყენება ისეთი აქტივის აღსანიშნავად, რომელთაც ფულად გადაქცევა და განაღდება მარტივად შეუძლიათ, საკუთარი საბალანსო ღირებულების ცვლილების გარეშე და ისეთი ვალდებულებების აღსანიშნავად, რომლის დაფარვაც საწარმოს დროულად შეუძლია. ლიკვიდურ აქტივებს მიაკუთვნებენ: ფულადი საშუალებები და მათი ექვივალენტები, მოკლევადიანი მოთხოვნები და ფასიანი ქაღალდები. ლიკვიდურ აქტივებს, ეკონომიკაში, საბრუნავ საშუალებებსაც უწოდებენ, რადგან ისინი სწრაფად ბრუნავენ და წელიწადის განმავლობაში რამდენჯერმე შემოედინებიან საწარმოში. საწარმო ლიკვიდურია იმ შემთხვევაში, მისი აქტივები აჭარბებს მოკლევადიან ვალდებულებებს.

როგორც ვახსენეთ, საწარმოს ლიკვიდობა ნიშნავს ვალდებულებების დროულად დაფარვას. აქედან გამომდინარე, ლიკვიდობა საწარმოს გადახდისუნარიანობას ნიშნავს და გულისხმობს, რომ საწარმოს აქტივები და ვალდებულებები ტოლია, როგორც თანხობრივად, ასევე აქტივის ფულად გადაქცევისა და ვალდებულებების დაფარვის ვადების მიხედვით.

გადახდისუნარიანობა თავის მხრივ, გულისხმობს საწარმოს უნარს, დროულად დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები, რომლებიც წარსული სამეურნეო საქმიანობების შედეგად წარმოექმნა. მესაკუთრე დაინტერესებულია, რომ დროულად დაფაროს ვალდებულებები, რადგან ვადაგადაცილების შემთხვევაში დაემატება ჯარიმები და საურავები, ამიტომ იგი მუდამ უნდა აკონტროლებდეს საწარმოს გადახდისუნარიანობის დონეს.

ერთი შეხედვით, ამ ფორმულირებით, ლიკვიდურობა არ განსხვავდება გადახდისუნარიანობისაგან, ე.ი. საწარმოს უნარისგან პასუხი აგოს თავის ვალდებულებებზე დროის მოცემული მომენტისათვის, მაგრამ ისინი არ არის

იდენტური ცნებები. ლიკვიდობა ვალდებულებების დაფარვის შესაძლებლობაა, ხოლო გადახდისუნარიანობა – ვალდებულებების შესრულებისათვის პირობების შექმნა. გადახდისუნარიანობა დამოკიდებულია ბალანსზე და საწარმოს ლიკვიდობაზე. ლიკვიდობა ხასიათდება, როგორც ანგარიშსწორებათა მდგომარეობა მიმდინარე და მომავალ პერიოდებში. რაც გულისხმობს იმას, რომ საწარმო შეიძლება იყოს გადახდისუნარიანი საანგარიშგებო თარიღისათვის, მაგრამ გააჩნდეს არასასურველი შესაძლებლობები მომავლისათვის.

ანალიზის პროცესში, პირველ რიგში უნდა შეფასდეს გადახდისუნარიანობა, რაც ხორციელდება აქტივების ლიკვიდობის დახასიათებით. მაშასადამე, საწარმოს გადახდისუნარიანობისა და ლიკვიდობის ანალიზისას შესაძლოა გამოიყოს შემდეგი საფეხურები:

1. გადახდისუნარიანობის ბალანსის შედგენა;
2. ლიკვიდურობის კოეფიციენტების ტენდენციის შესწავლა;
3. საწარმოს ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებლების დინამიკური ანალიზი;
4. შეფასებებისა და დასკვნების საფუძველზე, რეკომენდაციების გაცემა.

გადახდისუნარიანობის ანალიზის პროცესში უნდა შევისწავლოთ გადახდისუნარიანობის ბალანსი, რისთვისაც ერთმანეთს უნდა შევადაროთ მიმდინარე აქტივები და მიმდინარე ვალდებულებები. იგი გვიჩვენებს მიმდინარე აქტივები ფარავს თუ არა მიმდინარე ვალდებულებებს. თუ აღმოჩნდა, რომ მიმდინარე აქტივები ნაკლებია მიმდინარე ვალდებულებებზე, მაშინ ადგილი აქვს კაპიტალის დეფიციტს (ჯიქია, მ., 2018). გადახდისუნარიანობის ბალანსის შედგენა შესაძლებელია ბუღალტრული ბალანსის საფუძველზე.

**ცხრილი N 1.2.1. საანალიზო საწარმოს გადახდისუნარიანობის ბალანსი 2018 წელი**  
**ბოლოს**

მიმდინარე აქტივები	ლარი	ხვედრიითი წილი	მიმდინარე ვალდებულებები	ლარი	ხვედრიითი წილი
ფულადი საშუალებები	8,483	19,57%	სესხების და კრედიტების მიმდინარე წილი	10,470	51,74%
მოკლევადიანი მოთხოვნები	17,113	39,43%	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9,395	46,43%
მარაგები	17,808	41,03%	საინვესტიციო ვალდებულებები	–	0%
			მიმდინარე გადასახადი	371	1,83%
<b>ჯამი</b>	<b>43,404</b>	<b>100%</b>	<b>ჯამი</b>	<b>20,236</b>	<b>100%</b>

საანალიზო საწარმოს გადახდისუნარიანობის ანალიზიდან შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიმდინარე აქტივები აღემატება მიმდინარე ვალდებულებებს 23,168 ლარით (მიმდინარე აქტივები-მიმდინარე ვალდებულებები = 43,404-20,236), რაც ნიშნავს იმას, რომ საწარმოს შეუძლია მიმდინარე ვალდებულებების დროულად დაფარვა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საგადასახადო ვალდებულებები, მოკლევადიანი სესხი და დარიცხული ვალდებულებების ჯამი (10,470+9,395+371=20,236), მოცემულ მომენტში, საწარმოში არსებული თავისუფალ ფულად საშუალებებზე მეტია (8,483<20,236), რაც გულისხმობს, რომ ამ ვალდებულებების დაფარვისათვის საწარმოს დასჭირდება დებიტორული დავალიანებების დროულად ამოღება. ამის შემდეგ, შეგვიძლია შევისწავლოთ ლიკვიდობის მაჩვენებლები. განასხვავებენ შემდეგი სახის ლიკვიდობა:

- მიმდინარე ლიკვიდობა - რაც გულისხმობს, დებიტორული დავალიანებებისა და ფულადი საშუალებების შესაბამისობას;
- გააგნარიშებითი ლიკვიდობა - რაც გულისხმობს, საწარმოს ნორმალური ფუნქციონირების პირობებში აქტივებისა და პასივების შესაბამისობას ბრუნვადობის ვადების მიხედვით;

- სწრაფი ლიკვიდობა - რაც გულისხმობს, ვალდებულებების დაფარვის უნარს, იმ შემთხვევაში თუ მოხდება საწარმოს ლიკვიდაცია.

ლიკვიდობის ხარისხზე დამოკიდებულებსი მიხედვით ანუ ფულად გადაქცევის სისწრაფის მიხედვით აქტივებს აჯგუფებენ შემდეგნაირად: აბსოლიტურად ლიკვიდური აქტივები (A1) - საწარმოს ფულადი საშუალებები და მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებები (ფასიანი ქაღალდები); სწრაფად რეალიზებადი აქტივები (A2) – დებიტორული დავალიანებანი, რომელთა დაფარვის ვადა საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვეს არ აღემატება; ნელა რეალიზებადი აქტივები (A3) – მარაგები, დაუმთავრებელი წარმოება, გადახდილი დღგ, დებიტორული დავალიანებები, რომელთა დაფარვის ვადასაანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვეს აღემატება; ძნელად რეალიზებადი აქტივები (A4) – გრძელვადიანი აქტივები: ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები, დაუმთავრებელი მშენებლობანი (ჯიქია, მ., 2018).

საწარმოს ვალდებულებები დაფარვის ვადებიდან გამომდინარე ჯგუფდება ასეთი სახით: ყველაზე სწრაფად დასაფარი ვალდებულებები (P1) - კრედიტორული დავალიანებები და ბანკის მოკლევადიანი კრედიტები, რომელთა გადახდის ვადა დამდგარია; მოკლევადიანი ვალდებულებები (P2) ეს არის მოკლევადიანი სესხები და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები; გრძელვადიანი ვალდებულებები (P3) ბანკის გრძელვადიანი სესხები, ვალდებულებები ფინანსური იჯარიდან, გრძელვადიანი თამასუქები, გასანაღდებელი ობლიგაციები; მუდმივი პასივები (P4) საკუთარი კაპიტალი, რომელიც მუდმივად საწარმოს განკარგულებაშია (ჯიქია, მ., 2018).

ანალიზის საწყის ეტაპზე ვუპირისპირებთ ერთმანეთს აღნიშნულ აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფებს. ბალანსი ითვლება ლიკვიდურად, თუ:

$A1 \geq P1$  ;  $A2 \geq P2$ ;  $A3 \geq P3$ ;  $A4 \geq P4$ ; თუ სრულდება პირველი სამი პირობა, შესრულდება მეოთხეც, მაგრამ თუ პირველი სამიდან რომელიმე არ სრულდება, ეს მეტყველებს ბალანსის ლიკვიდობის დარღვევაზე (ჯიქია, მ., 2018).



**ცხრილი N 1.2.2. საანალიზო საწარმოს მიმდინარე აქტივების დაჯგუფება  
ლიკვიდობის ხარისხის მიხედვით**

მიმდინარე აქტივები	2016	2017	2018
ფულადი საშუალებები	1,834	1,050	8,483
მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებები	-	-	-
<b>სულ პირველი ჯგუფი</b>	<b>1,834</b>	<b>1,050</b>	<b>8,483</b>
მზა პროდუქცია	-	-	-
დებიტორული დავალიანებები	8,422	14,825	17,113
<b>სულ მეორე ჯგუფი</b>	<b>8,422</b>	<b>14,825</b>	<b>17,113</b>
საწარმოო მარაგები	11,410	15,112	17,808
დაუმთავრებელი წარმოება	-	-	-
<b>სულ მესამე ჯგუფი</b>	<b>11,410</b>	<b>15,112</b>	<b>17,808</b>
<b>სულ მიმდინარე აქტივები</b>	<b>21,666</b>	<b>30,987</b>	<b>43,404</b>

მიმდინარე გადახდისუნარიანობის გასაანგარიშებლად აუცილებელია პირველი ჯგუფის ლიკვიდური საშუალებები შევადაროთ პირველი ჯგუფის საგადასახადო ვალდებულებებს. იდეალურ შემთხვევაში, კოეფიციენტი არის ერთი ან ერთზე მეტი. ხოლო პერსპექტიული გადახდისუნარიანობის ანალიზისთვის გამოიყენება ლიკვიდობის შემდეგი მაჩვენებლები: აბსოლუტური, შუალედური და საერთო ლიკვიდობა.

აბსოლუტური ლიკვიდობის კოეფიციენტი გვიჩვენებს მოცემულ მომენტში არსებული ფულადი სახსრებით მიმდინარე ვალდებულებების რა ნაწილის დაფარვაა შესაძლებელი. მისი იდეალური მნიშვნელობა არის 1 და მინიმალური დონე 0,2-ზე დაბლა არ უნდა იყოს. აბსოლუტური ლიკვიდობის კოეფიციენტი გაიანგარიშება:

$$K = \frac{\text{ფულადი საშუალებები} + \text{მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}}$$

შუალედური ლიკვიდობის კოეფიციენტი გვიჩვენებს არსებული და მოკლევადიან პერიოდში მისაღები ფულადი საშუალებები რა ხვედრითი წონით ფარავს მიმდინარე ვალდებულებებს. ამ კოეფიციენტს სხვანაირად კრიტიკული შეფასების კოეფიციენტსაც უწოდებენ. ამ კოეფიციენტისათვის დამაკმაყოფილებელია თანაფარდობა 1:1. შუალედური ლიკვიდობის, იგივე სწრაფი ლიკვიდობის

$$\text{კოეფიციენტი გაიანგარიშება: } K = \frac{\text{ფულადი საშუალებები} + \text{მოკლევადიანი მოთხოვნები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}}$$

საერთო ლიკვიდობის კოეფიციენტი გვიჩვენებს, თუ რამდენჯერ აღემატება მიმდინარე აქტივები მიმდინარე ვალდებულებებს, რაც იძლევა პასუხს იმაზე: შეუძლია თუ არა საწარმოს არსებული და მისაღები ფულადი საშუალებებით დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. ეს კოეფიციენტი უნდა მერყეობდეს 2-3 შორის. საერთო ლიკვიდობის კოეფიციენტი გაიანგარიშება: 
$$K = \frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}}$$

**ცხრილი N 1.2.3. საანალიზო საწარმოს ლიკვიდობის მაჩვენებლები და ლიკვიდობის კოეფიციენტების შედარება საბაზისო წელთან**

<i>ლიკვიდობის მაჩვენებელი</i>	<i>2016 წელი</i>	<i>2017 წელი</i>	<i>2018 წელი</i>
<i>აბსოლუტური</i>	1,834/12,562=0.15	1,050/20,209=0.05	8,483/20,236=0.42
<i>შუალედური</i>	10,256/12,562=0.82	15,875/20,209=0.79	25,596/20,209=1.27
<i>საერთო</i>	21,666/12,562=1.72	30,987/20,209=1.53	43,404/20,209=2.15

<i>ლიკვიდობის მაჩვენებლები</i>	<i>2016</i>		<i>2017</i>		<i>2018</i>	
	<i>K</i>	<i>%-ული შედ</i>	<i>K</i>	<i>%-ული შედ</i>	<i>K</i>	<i>%-ული შედ</i>
<i>აბსოლუტური</i>	0,15	33.33	0,05	33.33	0,42	280
<i>შუალედური</i>	0,82	96.34	0,79	96.34	1,27	154.88
<i>საერთო</i>	1,72	88.95	1,53	88.95	2,15	125

აბსოლუტური ლიკვიდობის კოეფიციენტი იდეალურ შემთხვევაში 1-ის ტოლი უნდა იყოს, თუმცა 0,2-ზე დაბლა არ უნდა დაეცეს. ჩვენს შემთხვევაში, საწარმოს ლიკვიდობა საბაზისო და 2017 წელს კრიტიკულად დაბალი იყო  $K(2016)=0,15$   $K(2017)=0,05$  რაც იმითაც შეგვიძლია ავხსნათ, რომ 2017 წლისათვის საწარმოს მიმდინარე აქტივების ძირითადი ნაწილი მარაგებში ჰქონდა დაბანდებული და ჰქონდა დიდი რაოდენობით ამოსაღები დებიტორული დავალიანებები, ხოლო 2018 წელს აბსოლუტური ლიკვიდობის დონე საგრძნობლად გაიზარდა,  $K=0,42$  რაც იმას გულისხმობს, რომ საწარმოს ფუნქციონირება კარგად მიმდინარეობს, ამოღებულია დებიტორული დავალიანებები, რის გამოც გაიზარდა ფულადი საშუალებები საწარმოში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შუალედური ლიკვიდობის დონე უნდა იყოს 1:1 თანაფარდობით, თუმცა ეს შეიძლება არ იყოს საკმარისი, როდესაც ლიკვიდურ საშუალებებში დიდი ნაწილი უჭირავს დებიტორულ დავალიანებებს, როგორც ჩვენს საანალიზო საწარმოში. ამ დებიტორული დავალიანებების თავის დროზე ამოღება საკმაოდ ძნელია. ჩვენს მაგალითში, საბაზისო წელს ეს კოეფიციენტი შედარებით დაბალია, რადგან როგორც ბალანსიდან ჩანს, საწარმოს ჯერ კიდევ ამოუღებელი აქვს დებიტორული დავალიანებები, ასევე მაღალია საინვესტიციო ვალდებულებები, რომლებიც 2018 წელს აღარ გვხვდება, რამაც გაზარდა საწარმოს ლიკვიდურობა და აამაღლა გადახდისუნარიანობა. 2018 წლის ბოლოს სწრაფი ლიკვიდობის მაჩვენებელი მივიღეთ  $K=1,27$  - რაც გულისხმობს იმას, რომ საწარმოს აქვს შესაძლებლობა ვალდებულებები დროულად დაფაროს.

საერთო ლიკვიდობის მაჩვენებელი გვიჩვენებს, თუ როგორ აღემატება მიმდინარე აქტივები მიმდინარე ვალდებულებებს. საანალიზო საწარმოდან ჩანს, რომ ყოველ წელს მიმდინარე აქტივები აღემატებოდა მიმდინარე ვალდებულებებს - 2016 წელს = 1,72; 2017= 1,53; 2018 წლის ბოლოსათვის ეს კოეფიციენტი კიდევ გაიზარდა 2,15-მდე, რაც როგორც ზემოთ ვახსენეთ გამოწვეულია იმით, რომ კომპანიას საინვესტიციო ხარჯები 2018 წელს აღარ გაუწევია და ასევე დროულად იქნა ამოღებული დებიტორული დავალიანებები. საერთო ლიკვიდობის კოეფიციენტი წლის განმავლობაში (დინამიკურად) დაახლოებით 0.43-ით იზრდებოდა. აქვე შეგვიძლია გამოვიანგარიშოთ საერთო ლიკვიდობის კოეფიციენტის გადახრა.

**ცხრილი N 1.2.4. საანალიზო საწარმოს საერთო ლიკვიდობის კოეფიციენტის გადახრის ანალიზი**

<i>მაჩვენებლები</i>	<i>2016 წელი</i>	<i>2017 წელი</i>	<i>გადახრა</i>	<i>2018 წელი</i>	<i>გადახრა</i>
<i>საერთო ლიკვიდობის კოეფიციენტი</i>	1.72	1.53	-0.19	2.15	0.43
<i>ფულადი აქტივები</i>	1,834	1,050	-784	8,483	6,649
<i>მარაგები</i>	11,410	15,112	14,002	17,808	6,398
<i>მიმდ. ვალდებულებები</i>	12,562	20,209	7,647	20,236	7,674

როგორც ვხედავთ 2016 წელთან შედარებით საწარმოს მდგომარეობა 2017 წელს გაუარესდა, თუმცა 2018 წელს გამოსწორებასთან ერთად ლიკვიდობის რეკომენდირებულ დონეს საგრძნობლად გადააჭარბა.

უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ზემოთ ნახსენები მაჩვენებლებით შეუძლებელია უმეცდომოთ შევისწავლოთ საწარმოს ფინანსური მდგრადობა, რადგან ეს პროცესი მეტად რთული და კომპლექსურია და მისი მხოლოდ რამდენიმე მაჩვენებლით შესწავლა შეცდომა იქნება. ლიკვიდობის კოეფიციენტები ფარდობითი მაჩვენებლებია, რომლებიც შესაძლოა გარკვეული პერიოდის განმავლობაში არ შეიცვალოს, თუ პროპორციულად გაიზრდება წილადის მრიცხველი და მნიშვნელი, მაშინ როცა მოცემულ პერიოდში შესაძლოა საწარმოს ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეიცვალოს, მაგალითად შემცირდეს მოგება. ამიტომ საწარმოს ლიკვიდობის უფრო სიღრმისეული შესწავლისათვის უნდა გამოვიყენოთ შემდეგი ფაქტორული მოდელი (ჯიქია, მ., 2018):  $K = \frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{მოგება}} \times \frac{\text{მოგება}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}}$

$$K = \frac{43,404}{7,371} \times \frac{7,371}{20,236} = 2.14$$

ამ მოდელის პირველი ნაწილის ანალიზით ანუ მიმდინარე აქტივების თანაფარდობით მოგებასთან, შეგვიძლია გავიგოთ აქტივების რა

ლირებულება მოდის ერთი ლარის მოგებაზე, ჩვენს შემთხვევაში ეს კოეფიციენტი 6-ის ტოლია, რაც გულისხმობს იმას რომ ყოველი დაბანდებული აქტივიდან დაახლოებით 6 ლარის მოგებას იღებს საწარმო. მეორე ნაწილის ანალიზით შეგვიძლია გავიგოთ, როგორ შეუძლია საწარმოს დაფაროს ვალდები, ჩვენს შემთხვევაში ეს არის 0.36 ,რაც მეტია 0.2-ზე და გულისხმობს რომ საწარმოს აქვს უნარი დროულად დაფაროს ვალდებულებები.

ლიკვიდობის კოეფიციენტებთან ერთად ანალიზი უნდა გაუკეთდეს საკუთარი საბრუნავი სახსრებისა და ფულადი უსაფრთხოების მაჩვენებლებს. საკუთარი საბრუნავი სახსრები(სსს)=მიმდინარე აქტივები-მიმდინარე ვალდებულებები; სსს=43,404-20,236=23,168

$$\text{სსს მანევრირების კოეფიციენტი} = \frac{\text{ფულადი სახსრები}}{\text{საკუთარი საბრუნავი საშუალებები}}$$

საკუთარი საბრუნავი სახსრების მანევრირების კოეფიციენტი გვიჩვენებს, რა ნაწილი უჭირავს საბრუნავ საშუალებებში ყველაზე სწრაფად საბრუნავ სახსრებს. ეს კოეფიციენტი 0-დან 1-მდე მერყეობს. მისი სიდიდე დამოკიდებულია საწარმოში თავისუფალი ფულადი სახსრების საჭიროებაზე. მანევრირების კოეფიციენტი  $= \frac{8,483}{23,168} = 0.37$  - მაშასადამე საანალიზო საწარმოს აქვს საკმარისი რაოდენობის თავისუფალი ფულადი საშუალებები, მას შეუძლია დროულად დაფაროს ვალდებულებებიც და თავიდან აიცილოს მოულოდნელი ხარჯებიც. ამასთან აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ფულადი საშუალებების სიჭარბეც არაა კარგი საწარმოსათვის, ეს გულისხმობს იმას, რომ საწარმოს არ აქვს წარმოება, საწარმოო ციკლი დარღვეული ან არადროულია, რაც ცუდად აისახება კომპანიაზე.

$$\text{ფულადი უსაფრთხოების (თავდაცვის) დიაპაზონი} = \frac{\text{ფული} + \text{ფასიანი ქაღალდები} + \text{დებიტორები}}{\text{საშუალო დღიური ხარჯები}}$$

$$\text{თავდაცვის დიაპაზონი} = \frac{8,483 + 17,113}{87,51} = 292.49; \text{თავდაცვის დიაპაზონი ახასიათებს თუ}$$

რამდენი დღის ხარჯია დაფარული აქტივებით, ანუ რამდენი დღის ფულადი აქტივის მარაგი არსებობს. მაშასადამე, ჩვენს საანალიზო საწარმოში მიმდინარე აქტივებით შესაძლებელია 292 დღის ხარჯის დაფარვა. საშუალო დღიური ხარჯი  $= \frac{\text{ხარჯები}}{365}$ , იგი გამოითვლება მოგება/ზარალში მოცემული ყველა ხარჯის ჯამის შეფარდებით წელიწადშიდღეთა რიცხვზე (ჭილაძე, ი., 2018).

#### ცხრილი 1.2.5. საანალიზო საწარმოს ლიკვიდურობის მაჩვენებლების გაანგარიშება

№	მაჩვენებლები	2016	2017	2018	ცვლილება	
					2017	2018
1 (A1)	ფულადი საშუალებები	1,834	1,050	8,483	-784	7,433
2 (A2)	სწრაფად რეალიზებადი აქტივები - დებიტორული დავალიანებები	8,422	14,825	17,113	6,403	2,288
3 (A3)	ნელა რეალიზებადი აქტივები - მარაგები	11,410	15,112	17,808	3,702	2,696
4 (A4)	ნაკლებად ნელა რეალიზებადი აქტივები-გრძელვადიანი აქტივები	77,482	80,944	89,044	3,462	8,100
5 (P1)	სასწრაფო ვალდებულებები	-	194	371	194	77
6 (P2)	სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	12,562	20,209	20,236	7,647	27
7 (P3)	გრძელვადიანი ვალდებულებები	31,469	31,782	45,048	313	13,266

6 (P4)	საკუთარი კაპიტალი	55,117	59,940	67,164	4,823	7,224
7	საკუთარი საბრუნავი საშუალებები	9,104	10,778	23,168	1,674	12,390
8	აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.15	0.05	0.42	-0.1	0.37
9	საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი	1.72	1.53	2.15	-0.19	0.62
10	სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.82	0.79	1.27	-0.03	0.48
11	ფუნქციონირებადი კაპიტალის (საკუთარი საბრუნავი სახსრების) მანევრ მაჩვენებელი	0.2	0.1	0.37	-0.1	0.27
12	საკუთარი საბრუნავი სახსრების ხვედრითი წილი მარაგების დაფარვაში (%)	79.78%	71%	130%	-8.78%	59%
13	მარაგების დაფარვის კოეფიციენტი	1.89	1.78	2.42	-0.11	0.64

ანალიზიდან ჩანს, რომ მოცემული საწარმოს აბსოლუტური ლიკვიდობის კოეფიციენტი 2016-2017 წლებში ოპტიმალურ დონეზე დაბალია, რაც გულისხმობს რომ საკუთარი ვალდებულებების დაფარვა არ შეუძლია არსებული ფულადი საშუალებებით, რაც გამომდინარეობს იქიდან, რომ 2017 წელს ჰქონა დიდი რაოდენობით დებიტორული დავალიანება ამოუღებელი. 2018 წელს ეს მაჩვენებელი 0.37-ით გაიზარდა, რაც იმით აიხსნება, რომ საწარმომ 2017 წელს არსებული დებიტორული დავალიანებები ამოიღო, რის შედეგადაც მისი ფულადი საშუალებები გაიზარდა, რის შედეგადაც საწარმო ლიკვიდობის ნორმინალურ დონეს (0.2-ს) ასცდა. საერთო ლიკვიდობის ანალიზით ვხვდებით, რომ მოცემული საანალიზო საწარმოს აქტივები ვალდებულებებს სამივე წელს აჭარბებდა, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ საწარმოს გადახდისუნარობის საკითხი არ დაუდგებოდა.

იქიდან გამომდინარე, რომ მიმდინარე და სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტები ბალანსური კოეფიციენტებია, ბალანსი კი წარმოადგენს სურათს ფინანსურ მდგომარეობის შესახებ, დროის გარკვეული მომენტისათვის, შესაძლოა ადეკვატურად ვერ შეფასდეს წლის მანძილზე საწარმოში ლიკვიდურობის მდგომარეობა. მხოლოდ ლიკვიდურობის კოეფიციენტით ვერ ვიმსჯელებთ კომპანიის გადახდისუნარიანობის შესაძლებლობებზე. ამიტომ ჩვენ, ანალიზისას, ასევე გამოვიყენეთ საკუთარი საბრუნავი სახსრების მანევრირების კოეფიციენტი, რომელიც

ჩვენი საანალიზო საწარმოს მაგალითზე, მოცემულ წლებში, 0.1-დან 0.37-მდე მერყეობდა, კოეფიციენტი 2017 წელს 2016 წელთან შედარებით 0.1-ით დაეცა თუმცა 2018 წელს ისევ დაიწყო ზრდა. მაშასადამე, ვხედავთ, რომ საწარმოს საკუთარი საბრუნავი საშუალებები იზრდება, რაც გულისხმობს იმას, რომ საწარმო ნორმალურად ფუნქციონირებს. აქვე გამოვიანგარიშეთ საკუთარი სახსრების ხვედრითი წილი მარაგების დაფარვაში, რაც ახასიათებს მარაგების ღირებულების იმ ნაწილს, რომელიც იფარება საკუთარი საბრუნავი სახსრებით, და იგი 50%-ზე დაბალი არ უნდა იყოს. საკუთარი საბრუნავი სახსრების ხვედრითი წილი მარაგების დაფარვაში (%) =  $\frac{\text{საკუთარი საბრუნავი საშუალებები}}{\text{მარაგები}} \times 100\%$

ჩვენი საწარმოს მაგალითზე ჩანს რომ მისი მარაგების უმეტესი ნაწილი 79.79% (2016 წელს) და 71% (2017 წელს) იფარებოდა საკუთარი საბრუნავი სახსრებით, ხოლო 2018 წელს სრულად დაფარა (130%) მარაგები საკუთარი საბრუნავი საშუალებებით, რაც თავისთავად გულისხმობს იმას, რომ მარაგებში საწარმოს საკუთარი სახსრები აქვს დაბანდებული და არა მოზიდული, რაც მის გადახდისუნარიანობას ამყარებს. ანალიზისას ასევე უნდა გამოვიყენოთ მარაგების დაფარვის კოეფიციენტი, რათა გავიგოთ, რომელი წყაროები და რა რაოდენობით გამოიყენება საწარმომ მარაგების დასაფარავად. ეს კოეფიციენტი გაიანგარიშება

$$K = \frac{\text{სსს+ზანკის სესხების.მატერიალური ფასი+კრ.დავალიანება}}{\text{მარაგები}}, \text{ ეს კოეფიციენტი 1-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.}$$

ჩვენი საანალიზო საწარმოსთვის მარაგების დაფარვის კოეფიციენტი საბაზისო წელს უდრიდა 1.89; 2017 წელს- 1.78 და 2018 წელს- 2.42. მაშასადამე აღნიშნულ საწარმოს ახასიათებს მდგრადობა. საანალიზო საწარმოსათვის კი აქტივებისა და ვალდებულებების თანაფარდობა ასე გამოიყურება ( $A1 \geq P1$ ;  $A2 \geq P2$ ;  $A3 \geq P3$ ;  $A4 \geq P4$ ) (ჯიქია, მ., 2018):

**ცხრილი N 1.2.5. საანალიზო საწარმოს აქტივებისა და ვალდებულებების  
თანაფარდობა**

<i>აქტივებისა და ვალდებულებები 2016 თანაფარდობა</i>	<i>2017</i>	<i>2018</i>	
<i>A1≥P1</i>	1,834>-	1,050>194	8,483>371
<i>A2≥P2</i>	8,422<12,562	14,825<20,209	17,113<20,236
<i>A3≥P3</i>	11,410<31,469	15,112<31,782	17,808<45,048
<i>A4≥P4</i>	77,482>55,117	80,944>59,940	89,044>67,164

ამ ცხრილიდან გამომდინარე 2016, 2017 და 2018 წლებში პირველი ჯგუფის (A1≥P1) თანაფარდობა სრულდება, ანუ ყველაზე სწრაფად ლიკვიდური აქტივების წილი მეტია მიმდინარე ვალდებულებებზე. მეორე ჯგუფის (A2≥P2) თანაფარდობა 2016-2018 წლებში დარღვეულია, რაც იმას ნიშნავს რომ დებიტორული დავალიანებები ნაკლებია მოკლევადიან ვალდებულებებზე, მაშასადამე საწარმოს აქვს შედარებით მეტი მოკლევადიანი ვალდებულებები, ვიდრე ამოსაღები თანხები, თუმცა ეს სხვაობა მცირეა, და შესაძლოა გავლენა არ იქონიოს საწარმოზე. ასევე, მოცემულ წლებში, დარღვეულია მესამე ჯგუფის თანაფარდობაც (A3≥P3), ანუ საწარმოს ასევე აქვს გრძელვადიანი ვალდებულებები იმაზე მეტი ვიდრე მის ხელთ არსებული მარაგებია. მათ შორის სხვაობა საგრძნობლად დიდია, რაც მის ლიკვიდურობის ხარისხს დაბლა სწევს. მეოთხე ჯგუფის (A4≥P4) თანაფარდობაც იდეალურადაა დაცული სამივე წელს. რაც გვამბევს იმის საშუალებას დავასკვათ, რომ საწარმოს არის სტაბილურად ლიკვიდური.

საბოლოოდ, ლიკვიდობის მაჩვენებლები ეს არის საბალანსო მაჩვენებლები, რაც გულისხმობს იმას, რომ ვალდებულებების ხანგრძლივობა და აქტივების ლიკვიდურობა მხოლოდ მიახლოებითაა განსაზღვრული და ზუსტ შედეგს ვერ მივიღებთ. ეს მაჩვენებლები ანალიზისას, ძირითადად იძლევიან სტატისტიკურ წარმოდგენას საწარმოს შესახებ დროის კონკრეტული მომენტისათვის, ვალდებულებათა დასაფარავად გადახდის საშუალებათა ოდენობის შესახებ.



## თავი 2. ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მეთოდის სრულყოფის საკითხები

### 2.1. საწარმოს ფინანსური მდგრალობის შეფასება

საწარმოს სტაბილურობის საფუძველი მისი ფინანსური მდგრალობაა. ეს უკანასკნელი განსაზღვრავს რამდენად გადახდისუნარიანია კომპანია. სამეწარმეო სუბიექტი, რომელსაც ახასიათებს მდგრალობა, საკუთარ სახსრებს აბანდებს აქტივებში, არ აქვს გაუმართლებელი დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები და დროულად ფარავს ვალდებულებებს.

საწარმოს მდგრალობაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას, ესენია:

- საწარმოს მდგრალობა სასაქონლო ბაზარზე;
- მოთხოვნი პროდუქციის წარმოება;
- საქმიანი თანამშრომლების პოტენციალი;
- გადახდისუნარიანი დებიტორების არსებობა;
- კრედიტორებისა და ინვესტორებისადმი დამოკიდებულების ხარისხი;
- სამეურნეო და ფინანსური ოპერაციების ეფექტიანობა და ა.შ. (ჯიქია, მ., 2018).

დამოკიდებულების მიხედვით, მდგრალობა შესაძლოა დავაჯგუფოდ: შიგა, საერთო და ფინანსურ მდგრალობად. შიგა მდგრალობა მთლიანად საწარმოს საერთო ფინანსური მდგრალობაა, რაც გულისხმობს რომ საწარმო ფუნქციონირებს სტაბილურად მაღალ დონეზე. საერთო მდგრალობა მიიღწევა ფულადი ნაკადების მოძრაობის შედეგად, როცა შემოსავლები გადააჭარბებს ხარჯებს.

ფინანსურ მდგრალობას განსაზღვრავს შემოსავლების ხარჯებზე გადამეტება. რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს ფულადი საშუალებების თავისუფლად მანევრირების საშუალებას. რაც საწარმოს აძლევს საშუალებას შეუფერხებლად განაგრძოს პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია. ფინანსური მდგრალობის დროს ფინანსური რესურსების ნაწილდება და გამოიყენება ისე, რომ საწარმოში გაიზარდოს

მოგება და კაპიტალი, რაც უნდა მოხდეს გადახდისუნარიანობისა და კრედიტუნარიანობის შენარჩუნების საფუძველზე.

საწარმოს ფინანსურ მდგრადობაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას, რომლებსაც აჯგუფებენ:

- ✓ წარმოქმნის ადგილის მიხედვით: შიგა და გარე;
- ✓ შედეგის მნიშვნელობის მიხედვით: ძირითადი და მეორეხარისხოვანი;
- ✓ სტრუქტურის მიხედვით: მარტივი და რთული;
- ✓ მოქმედების დროის მიხედვით: მუდმივი და დროებითი (ჯიქია, მ., 2018).

ფინანსური მდგრადობის ანალიზი საშუალებას გვაძლევს ვუპასუხოთ ისეთ კითხვებს, როგორცაა: 1. რამდენად დამოუკიდებელია საწარმო ფინანსურად; 2. მდგრადია თუ არა საწარმო ფინანსურად.

ფინანსური მდგრადობის ანალიზი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- ✓ ფინანსური მდგრადობის აბსოლუტური და შეფარდებითი მაჩვენებლების შეფასება და ანალიზი;
- ✓ ფაქტორების რანჟირება და მათი მნიშვნელობის მიხედვით, საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე მათი რაოდენობრივი და ხარისხობრივი გავლენის შეფასება;
- ✓ მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება საწარმოს ფინანსური მდგრადობისა და გადახდისუნარიანობის ამალღებისათვის (ჯიქია, მ., 2018).

ფინანსური მდგრადობა ეყრდნობა ოპტიმალურ თანაფარდობას აქტივებისა და მათი დაფინანსების წყაროებს შორის, რისთვისაც გამოიყენება შემდეგი მაჩვენებლები:

საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი-  $K = \frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{ბალანსის აქტივების ჯამი}}$  ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს, აქტივების რა ნაწილია შეძენილი საკუთარი კაპიტალის ხარჯზე.

მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი-  $K = \frac{\text{ვალდებულებები}}{\text{ბალანსის აქტივების ჯამი}}$  იგი გვიჩვენებს, რამდენი ვალდებულებაა მოზიდული ყოველი 1 ლარის ღირებულების

ქონების შესაძენად. საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტისა და მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტების ჯამი 1 ტოლია.

საკუთარი და მოზიდული კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი -  
$$K = \frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{მოზიდული კაპიტალი}}$$

საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი-  $K = \frac{\text{საკუთარი საბრუნავი სახსრები}}{\text{საკუთარი კაპიტალი}}$ ,  
იგი გვიჩვენებს საკუთარი კაპიტალის რა ნაწილია დაბანდებული საბრუნავ საშუალებებში.

გამოყოფენ ფინანსური მდგრადობის ოთხ ტიპს:

1. აბსოლუტური მდგრადი ფინანსური მდგომარეობა;
2. ნორმალური მდგრადი ფინანსური მდგომარეობა;
3. არამდგრადი (წინაკრიზისული) ფინანსური მდგომარეობა;
4. კრიზისული ფინანსური მდგომარეობა (გაკოტრების ზღვარი) (ჯიქია, მ., 2018).

აბსოლუტურად მდგრადი ფინანსური მდგომარეობის დროს მარაგები და დანახარჯები, მთლიანად უზრუნველყოფილია საკუთარი საბრუნავი სახსრებით ანუ მატერიალური მარაგები<საკუთარ საბრუნავ სახსრებზე. ეს მაჩვენებელი იდეალურ მაჩვენებლად არ მიიჩნევა, რადგან ეკონომისტთა აზრით, არ შეიძლება კომპანიას გარედან მოზიდული სახსრები არ ჰქონდეს. მათი აზრით, სტაბილური ფინანსური მდგომარეობის მქონე საწარმოში საკუთარი საბრუნავი სახსრების წილი მატერიალურ ფასეულობებში, სულ მცირე, 50%-ის ტოლი მაინც უნდა იყოს.

ნორმალურად მდგრადი ფინანსური მდგომარეობის დროს მარაგებისა და დანახარჯების უზრუნველყოფა ხდება საკუთარი საბრუნავი სახსრებითა და ნასესხები წყაროებით, მაშასადამე, საკუთარი საბრუნავი სახსრები<მატერიალური მარაგები<მარაგების ფორმირების „ნორმალური წყაროები“. ეს მაჩვენებელი გვეუბნება, რომ არსებობს ოპტიმალური თანაფარდობა საკუთარ და მოზიდულ სახსრებს შორის. მარაგების ფორმირების „ნორმალური წყაროები“ მოიცავს: საკუთარ საბრუნავ სახსრებს; მოკლევადიან სესხებს; კრედიტორულ დავალიანებებსა და მიღებული ავანსების ერთობლიობას (ჭილაძე, ი., 2018).

არამდგრადი ფინანსური მდგომარეობის დროს მარაგების და დანახარჯების დაფარვა ვერ ხდება დაფარვის „ნორმალური წყაროების“ საშუალებით, ამიტომ საწარმო მარაგებსა და დანახარჯებს ფარავს მის ხელთ არსებული ყველა წყაროს ხარჯზე და საწარმო იძულებული ხდება მოიზიდოს კაპიტალი გარე წყაროებიდან, აილოს სესხები. ანუ, მატერიალური მარაგები > მარაგების დაფინანსების „ნორმალური წყაროები“. ფინანსური არამდგრადობა ითვლება დასაშვებად, თუ 1. საწარმოო მარაგს + მზა პროდუქცია  $\geq$  მოკლევადიანი კრედიტს; 2. დაუმთავრებელი წარმოება + წინასწარ გაწეული ხარჯები  $\leq$  საკუთარ საბრუნავ საპიტალზე.

კრიზისული ფინანსური მდგომარეობის დროს საწარმოს მარაგები არ არის უზრუნველყოფილი მათი ფორმირების წყაროებით, რის გამოც საწარმო გაკოტრების ზღვარზეა. ასეთ შემთხვევაში საწარმოს წარმოექმნება გადაუხდელი კრედიტორული დავალიანებები, ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებები. კრიზისული ფინანსური მდგომარეობის დროს საწარმო მთლიანად გარედან მოზიდულ სახსრებზეა დამოკიდებული. მსგავსი სიტუაციის ხშირად განმეორების შემთხვევაში, საწარმო უნდა ვცნოთ გაკოტრებულად. კრიზისული ფინანსური მდგრადობა შეიძლება აღდგეს: ა) მიმდინარე აქტივებში კაპიტალის ბრუნვადობის დაჩქარებით, რომლის შედეგად მიიღწევა მისი შეფარდებითი შემცირება ერთი ლარის საქმონელბრუნვაზე; ბ) მარაგებისა და ხარჯების დასაბუთებული შემცირება; გ) საკუთარი საბრუნავი კაპიტალის შევსება შიდა და გარე წყაროების ხარჯზე (ჯიქია, მ., 2018).

**ცხრილი N 2.1.1. საანალიზო საწარმოს ფინანსური მდგრადობის დამახასიათებელი**

**აბსოლუტური მაჩვენებლები**

№	მაჩვენებლები	2016	2017	2018	ცვლილება	
					2018	2017
1	ძირითადი საშუალებები (ბრუნვისგარეშე აქტივები) და არამატერიალური აქტივები	11,410	15,112	17,808	2,696	3,702
2	მიმდინარე	21,666	30,987	43,404	12,417	9,321

	აქტივები ანუ საბრუნავი საშუალებები					
	ა) მარაგები	11,410	15,112	17,808	2,696	3,702
	ბ) ფულადი საშუალებები,დ/დდა სხვა მოკლევადიანი აქტ	10,256	15,875	25,596	9,721	5,619
3	საკუთარი კაპიტალი	55,117	59,940	67,164	7,224	4,823
4	გრძელვადიანი სესხები და ვალდებულებები	31,469	31,782	45,048	13,266	313
5	მოკლევადიანი სესხები	6,070	7,604	10,470	2,866	6,113
6	დანარჩენი მოკლევადიანი ვალდებულებები (კ/დ; მიღებული ავანსები)	6,492	12,605	9,766	-2,839	6,113
7	საკუთარი საბრუნავი საშუალებები (3+4-1)	75,175	76,610	94,404	17,794	1,435
8	მარაგების ფორმირების ნორმალური წყაროების საერთო სიდიდე (5+6+7)	87,737	96,819	114,640	17,821	9,082
9	საკუთარ საბრუნავ საშუალებათა სიჭარბე/ ნაკლებობა (7-2ა)	76,327	61,498	76,596	15,098	-14,829
10	მარაგების ფორმირების ნორმალური წყაროების სიჭარბე/ნაკლებობა (8-2ა)	76,327	81,707	96,832	15,125	5,380

მოცემული მაჩვენებლების საფუძველზე უნდა გავანალიზოთ მარაგებისა და საკუთარი საბრუნავი საშუალებების ერთმანეთზე დამოკიდებულება, რისთვისაც უნდა გამოვიყენოთ შემდეგი უტოლობა: მარაგები<სსს. საბაზისო წელს მარაგები = 11,410 , რაც ნაკლებია 76,327; 2017 წელს მარაგები = 15,112 , რაც ნაკლებია 2017 წელს არსებულ საკუთარ საბრუნავ საშუალებებზე 76,610; 2018 წელს მარაგები = 17,808 , რაც ნაკლებია ამავე წელს არსებულ საკუთარ საბრუნავ საშუალებებზე - 94,404. ამ უტოლობიდან ირკვევა, რომ საწარმო საბაზისო წლიდან სტაბილურია, და ასევე

სტაბილურობის ზრდის ტემპი დინამიკაში დადებითია, რაც განაპირობებს იმას, რომ 2018 წელს საწარმო უკვე აბსოლუტურად მდგრადია.

გარდა ამისა, აუცილებელია ჩავატაროთ საწარმოს ფინანსური მდგრადობის დეტალური ანალიზი ფინანსური კოეფიციენტების გამოყენებით, რომლებიც ლავირების საშუალებას მოგვცემს. ამ კოეფიციენტებიდან უნდა შევისწავლოთ:

- საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი;
- ნასესხები სახსრების კონცენტრაციის კოეფიციენტი;
- ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი;
- ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი;
- სახსრების მანევრირების კოეფიციენტი;
- საკუთარი და ნასესხები სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი;
- სახსრების მობილურობის კოეფიციენტი;
- საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი;
- გრძელვადიანი დაზანდებათა სტრუქტურის კოეფიციენტი ;
- ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი (ჩეჩელაშვილი, ა., 2013).

საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი გვიჩვენებს საწარმოს მესაკუთრეთა წილს მათ საქმიანობაში ავანსირებული საშუალებების საერთო ოდენობაში. მისი მნიშვნელობა 0.5-ს უნდა აღემატებოდეს და რაც უფრო მაღალი იქნება ეს კოეფიციენტი, მით უფრო მდგრადი იქნება საწარმო ფინანსურად. მიიჩნევა, რომ საკუთარი კაპიტალის წილი უნდა აღემატებოდეს მოზიდული კაპიტალის წილს, რადგან ამ შემთხვევაში უფრო დიდია იმის ალბათობა, რომ ვალები საკუთარი სახსრებით დაიფარება, რაც საწარმოს გრძელვადიანი გადახდისუნარიანობის მაჩვენებელია. საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი გაიანგარიშება:

$$K = \frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{ბალანსის აქტივების ჯამი}}$$
 მასთან ერთად რეკომენდირებულია გამოვითვალოთ მოზიდული სახსრების კონცენტრაციის კოეფიციენტი, რომელიც გაიანგარიშება, ვალდებულებების შეფარდებით ბალანსის აქტივების ჯამთან, რაც გვიჩვენებს რა

რაოდენობით ვალდებულებებია მოზიდული ყოველ 1 ლარ აქტივზე. ამ ორი მაჩვენებლის ჯამი 1-ის ტოლი უნდა იყოს.  $K = \frac{\text{ვალდებულებები}}{\text{ბალანსის აქტივების ჯამი}}$

აქვე უნდა გავანალიზოთ ფინანსური დამოკიდებულებისა და ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტები. ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტის შებრუნებული სიდიდეა და გვიჩვენებს, რადენჯერ აღემატება აქტივები საკუთარ კაპიტალს. ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტის ზრდა იმის მანიშნებელია, რომ საწარმოში იზრდება ნასესხები საშუალებები, რაც შემდგომში საფრთხეს შეუქმნის კომპანიის ფინანსურ სტაბილურობას, თუ აღმოჩნდა ისე, რომ ეს კოეფიციენტი 1-ს გაუტოლდა ეს ნიშნავს იმას, რომ საწარმოს ქონებას მთლიანად მესაკუთრეები აფინანსებენ. იგი გამოიანგარიშება შემდეგნაირად:  $K = \frac{\text{მთლიანი აქტივები}}{\text{საკუთარი კაპიტალი}}$

ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი, გვიჩვენებს საკუთარი სახსრების ხვედრით წილს დაფინანსების წყაროების საერთო ოდენობაში. ამ კოეფიციენტის მნიშვნელობა ტოლია საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტის, რადგან გადაანგარიშებაში ერთი და იგივე სიდიდეები გამოიყენება.

$$K = \frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{დაფინანსების წყაროების ჯამი}}$$

სახსრების მანევრირების კოეფიციენტი ახასიათებს, საწარმოს აქტივების ლიკვიდურ სახსრებად გარდაქმნის შესაძლებლობას. მისი მნიშვნელობა 0.2-ის ტოლი ან მეტი უნდა იყოს და გამოიანგარიშება:  $K = \frac{\text{მთლიანი აქტივები} - \text{მოკლევადიანი ვალდებულებები}}{\text{საბრუნავი აქტივების ჯამი}}$

საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი ახასიათებს, მიმდინარე საქმიანობის დასაფინანსებლად გამოყენებული საკუთარი საბრუნავი კაპიტალის წილს, ანუ საკუთარი კაპიტალის იმ რაოდენობას, რომელიც დაბანდებულია საკუთარ საბრუნავ საშუალებებში, ამ კოეფიციენტის ოპტიმალური სიდიდე დამოკიდებულია დარგის თავისებურებებზე და განისაზღვრება საკუთარი საბრუნავი სახსრების

შეფარდებით საკუთარ კაპიტალთან. მისი ნორმატიული მაჩვენებელი მეტია ან ტოლი 0.5-ის.  $K = \frac{\text{საკუთარი საბრუნავი კაპიტალი}}{\text{საკუთარი კაპიტალი}}$

სახსრების მობილურობის კოეფიციენტი გვიჩვენებს აქტივების ლიკვიდურ სახსრებად გარდაქმნის პოტენციურ შესაძლებლობას, ეს კოეფიციენტი 0.5 ან 0.5-ზე მეტი უნდა იყოს, რათა არ დაირღვეს ბალანსის აქტიური ნაწილის სტრუქტურა, რაც იმის გარანტიაა, რომ საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაუარესების საშიშროება არ ემუქრება.  $K = \frac{\text{საბრუნავი აქტივები}}{\text{გრძელვადიანი აქტივები}}$

გრძელვადიანი დაბანდებათა სტრუქტურის კოეფიციენტი შეისწავლის, გრძელვადიანი აქტივების რა ნაწილია დაფინანსებული გარე ინვესტორებისაგან, რაც უფრო მაღალი იქნება ეს მაჩვენებელი, გამოდის, რომ საწარმო დამოკიდებულია გარე დაფინანსების წყაროებზე. იგი გამოითვლება:  $K = \frac{\text{გრძელვადიანი ვალდებულებები}}{\text{გრძელვადიანი აქტივები}}$

საკუთარი და მოზიდული სახსრების კოეფიციენტით ვგებულობთ რამდენად დამოკიდებულია კომპანია სხვაზე, რაც უფრო მაღალია საკუთარი სახსრების წილი კაპიტალში, მით უფრო დაბალრისკიანია კომპანია, ამიტომ ამ კოეფიციენტის ზრდა დადებით მოვლენად მიიჩნევა, და იგი 1-ზე მეტი უნდა იყოს.  $K = \frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{ნასესხები კაპიტალი}}$

ნასესხები სახსრების გრძელვადიანი მოზიდვის კოეფიციენტი, იგივე ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი, საწარმოს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას აღწერს, იგი იკვლევს თუ რა კავშირია სესხებსა და საკუთარ კაპიტალს შორის, ამიტომ მისი ზრდა უარყოფითია და გამოიანგარიშება :  $K = \frac{\text{გრძელვადიანი ვალდებულებები}}{\text{საკუთარი კაპიტალი} + \text{გრძელვადიანი ვალდებულებები}}$

პრაქტიკაში გამოიყენება ფინანსური ლევერიჯის რამდენიმე კოეფიციენტი: კაპიტალის ლევერიჯი, შემოსავლის ანუ პროცენტის ლევერიჯი და ფინანსური ლევერიჯი.  $\text{კაპიტალის ლევერიჯი} = \frac{\text{სესხი} + \text{პრივილეგირებული კაპიტალი}}{\text{მთლიანი აქტივები} - \text{მიმდინარე ვალდებულებები}}$



$$\text{შემოსავლის ლევერიჯი} = \frac{\text{სავალო პროცენტები}}{\text{მოგებაპ როცენტებისა და გადასახადების გადახდამდე}}$$

$$\text{ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი} = \frac{\text{მთლიანი აქტივები}}{\text{საკუთარი კაპიტალი}}$$

აღსანიშნავია, რომ ლევერიჯის ყველა კოეფიციენტი ერთი და იგივე სიდიდეს ზომავს, მაგრამ მხოლოდ მაშინ არის მიღებული მონაცემები შესადარისი, როცა კომპანიის მიერ, საანგარიშგებო პერიოდში ან/და სხვა კომპანიასთან შედარების დროს, ერთსა და იმავე ლევერიჯის კოეფიციენტებია გამოყენებული.

ფინანსური ლევერიჯის გარდა იყენებენ ოპერაციულ ლევერიჯსაც, რაც გამოიანგარიშება:  $K = \frac{\text{EBIT-ის \% - ული ცვლილება}}{\text{გაყიდვებიდან ამონაგების \% - ული ცვლილება}}$ , სადაც EBIT არის მოგება პროცენტებისა და გადასახადების გადახდამდე. ასევე არსებობს ოპერაციული ლევერიჯის ალტერნატიული კოეფიციენტი, სადაც  $K = \frac{\text{მუდმივი დანახარჯები}}{\text{ცვლადი დანახარჯები}}$

იმისათვის, რომ დავახასიათოთ საწარმოს ფინანსური მდგრადობისთვის აუცილებელი საკუთარი საბრუნავი სახსრებით უზრუნველყოფის ხარისხი, უნდა გამოვიყენოთ შემდეგ მაჩვენებელს - საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი და იგი ტოლია:  $K = \frac{\text{საკუთარი საბრუნავი სახსრები}}{\text{საბრუნავი სახსრები}}$ , ეს კოეფიციენტი 0.1-დან 0.5-მდე მერყეობს.

#### ცხრილი N 2.1.2. საანალიზო საწარმოს ფინანსური კოეფიციენტები

№	მაჩვენებლები	2016	2017	2018	ცვლილება	
					2018	2017
1	აქტივები	99,148	111,931	132,448	20,517	12,783
2	გრძელვადიანი აქტივები	77,482	80,944	89,044	8,100	3,462
3	მიმდინარე აქტივები	21,666	30,987	43,404	12,417	9,321
4	საკუთარი კაპიტალი	55,117	59,940	67,164	7,224	4,823
5	გრძელვადიანი ვალდებულებები	31,469	31,782	45,048	13,266	313
6	მიმდინარე ვალდებულებები	12,562	20,209	20,236	27	7,647
7	საკუთარი საბრუნავი საშუალებები	75,175	76,610	94,404	17,794	1,435

8	საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი (4/1)	0.56	0.54	0.51	-0.03	-0.02
9	ნასესხები სახსრების კონცენტრაციის კოეფიციენტი [(5+6)/1]	0.44	0.46	0.49	0.03	0.02
10	სახსრების მობილურობის კოეფიციენტი (3/2)	0.28	0.38	0.49	0.11	0.1
11	საკუთარი და ნასესხები სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი [4/(5+6)]	1.25	1.15	1.01	-0.14	-0.1
12	ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი (5/(5+4))	0.36	0.35	0.40	0.05	-0.01
13	საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი (7/3)	3.46	2.47	2.16	-0.31	-0.99
14	საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი (7/4)	1.34	1.27	1.41	-0.07	0.14
15	ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი (1/4)	1.7	1.87	1.97	0.1	0.17
16	სახსრების მანევრირების კოეფიციენტი (3-6)/3	0.42	0.35	0.53	0.18	0.17
17	გრძელვადიან დაბანდებათა სტრუქტურის კოეფიციენტი (5/2)	0.41	0.39	0.51	0.12	-0.02

მოცემული ცხრილიდან შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები და გავცეთ რეკომენდაციები:

- 1) საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი სამივე წელს 0.5-ზე მაღალია, რაც იმას გულისხმობს, რომ კომპანია ინარჩუნებს სტაბილურობის დონეს საკუთარ კაპიტალში, თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საბაზისო წელთან შედარებით, 2017 და 2018 წლებში ეს კოეფიციენტი ჯერ 0.02-ით, ხოლო შემდეგ 0.03-ით შემცირდა, რაც იმის მანიშნებელი შეიძლება იყოს, რომ საწარმო უნდა შეეცადოს შემდეგ წელს ამ კოეფიციენტის გაუმჯობესებას;

- 2) ნასესხები სახსრების კონცენტრაციის კოეფიციენტი 2016 წელს=0.44; 2017 წელს=0.46; ხოლო 2018 წელს კი=0.49, რადგან ეს კოეფიციენტი 0.5-ზე ნაკლებია იმას გულისხმობს, რომ საწარმოში საკუთარი კაპიტალი აღემატება ნასესხებ კაპიტალს. თუმცა ვხედავთ იმასაც, რომ საბაზისო წელთან შედარებით, ორივე წელს გაიზარდა ნასესხები კაპიტალის რაოდენობა, ჯერ 0.02-ით, შემდეგ კი 0.03-ით, რაც საწარმოს არ უნდა გამორჩეს მხედველობიდან;
- 3) სახსრების მობილურობის კოეფიციენტით ვიგებთ, რომ აქტივების სტრუქტურა არაა დარღვეული. რადგან საბაზისო წელთან შედარებით ეს კოეფიციენტი შემდეგ წლებში ჯერ 0.1-ით, შემდეგ კი 0.11-ით გაიზარდა, აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ ეტაპზე, საწარმოს მდგრადობის გაუარესების საშიშროება არ არსებობს;
- 4) საკუთარი და ნასესხები სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი, მოცემულ წლებში, აღემატება მინიმალურ ზღვარს 1-ს, თუმცა მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს რომ 2018 წელს, ეს კოეფიციენტი 0.14-ით შემცირდა და მინიმალურ ზღვარს ოდნავ აჭარბებს, რაც გვეუბნება რომ საწარმოში იზრდება ნასესხები სახსრების რაოდენობა და კომპანიამ ამ მიმართულებით უნდა დაიწყოს მუშაობა;
- 5) როგორც ვხედავთ ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი ჯერ შემცირდა, შემდგომ კი გაიზარდა, როგორც ვიცით ამ კოეფიციენტის ზრდა უარყოფითი შედეგის მომასწავლებელია, რადგან ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტის ზრდა მიუთითებს საწარმოში სესხების ზრდაზე, რაც თავისთავად მოითხოვს დამატებით ისეთ ხარჯებს, როგორცაა პროცენტის გადახდა, რაც ნეგატიურად მოქმედებს საწარმოს მდგრადობაზე;
- 6) საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფის კოეფიციენტის მეშვეობით, შეგვიძლია დავასკვნათ რომ საწარმოს საკუთარი საბრუნავი საშუალებებით აქვს დაფინანსებული მიმდინარე აქტივების ნაწილი, რაც დადებით

მოვლენად ითვლება, თუმცა არც ის უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ საბაზისო წელთან შედარებით ეს კოეფიციენტი შემცირდა ჯერ 0.99-ით, შემდეგ კი 0.31-ით, რაც იმას ნიშნავს რომ საწარმოში ნელ-ნელა იზრდება გარე წყაროებიდან მიღებული რესურსების რაოდენობა, რაზეც მენეჯმენტმა ყურადღება უნდა გაამახვილოს;

- 7) საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი სამივე წელს საკმაოდ მაღალია დასაშვებ ზღვარზე 0.5-ზე. ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს, საკუთარი კაპიტალის რა ნაწილია დაბანდებულია საკუთარ საბრუნავ საშუალებებში და ჩვენი საანალიზო საწარმოს შემთხვევაში მიღებული კოეფიციენტი საწარმოს არამდგრადობის საფრთხეს არ უქმნის;
- 8) ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტის მიხედვით, საანალიზო საწარმოსთვის შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საწარმო ნელ-ნელა ფინანსურად დამოკიდებული ხდება, საწარმოში იზრდება მოზიდული კაპიტალის წილი, რაც ნეგატიური შედეგების მომტანია.
- 9) სახსრების მანევრირების კოეფიციენტი, ოპტიმალურ მნიშვნელობაზე - 0.2-ზე მაღალია სამივე წელს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ საანალიზო საწარმოს აქვს შესაძლებლობა არსებული აქტივები გარდაქმნას ლიკვიდურ სახსრებად. ეს კოეფიციენტი ჯერ მცირედით შემცირდა, ხოლო შემდგომ საგრძნობლად გაიზარდა, რაც იმას გულისხმობს, რომ საწარმოს აქვს მეტი თავისუფალი ფულადი სახსრები, რაც მის ფინანსურ მდგრადობას ამაღლებს;
- 10) გრძელვადიან დაბანდებათა კოეფიციენტი ჯერ შემცირდა, შემდეგ კი საკაოდ გაიზარდა 2018 წელს, რაც არასასურველია, რადგან ამ კოეფიციენტით ვიგებთ რა წილი უკავია კომპანიაში გარედან მოზიდულ სახსრებს. 2016-2017 წლებში ეს მაჩვენებელი მისაღები იყო, რადგან არ აღემატებოდა 0.5-ს, მაგრამ რადგან მაჩვენებელმა 2018 წელს 0.51-ს მიაღწია

ეს გულისხმობს, რომ მოზიდული სახსრები კომპანიაში საკმაოდ გაიზარდა, რაც თავისთავად ფინანსურად დამოუკიდებლობას უქმნის საფრთხეს.

მაშასადამე, საბოლოო ჯამში საწარმო სტაბილურად მდგრადია, თუმცა უკვე შეინიშნება არასასურველი გადახრები, როგორცაა ვალდებულებებისა და გარედან მოზიდული სახსრების გაზრდა, რაზეც კომპანიის მმართველობამ უნდა იმსჯელოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი სტაბილურობის დონე შემცირდება და დროთა განმავლობაში გადახდისუნარო გახდება კომპანია.

## 2.2 ფულადი ნაკადების მოძრაობის ანალიზი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება შეიცავს ისეთ ინფორმაციას, რომელიც მოცემული არ არის სრული შემოსავლებისა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. საწარმოთა ფინანსური კეთილდღეობის ერთ–ერთ ძირითად პირობას ფულადი საშუალებების იმ ოდენობით შემოღინება წარმოადგენს, რომელიც საკმარისია დაგეგმილი ხარჯების დასაფარავად. ფულადი საშუალებების მინიმალურად აუცილებელი მარაგის არარსებობამ შეიძლება სერიოზული ფინანსური სიძნელეები გამოიწვიოს. ფულადი საშუალებების ზედმეტობა კი მეტყველებს, რომ რეალურად საწარმო განიცდის ზარალს, რაც დაკავშირებულია, პირველ რიგში, ინფლაციასა და ფულის გაუფასურებასთან და მეორე – მათი სარგებლიანი განთავსებით შემოსავლების მიღების ხელიდან გაშვებულ შესაძლებლობებთან. ამასთან ფულადი ნაკადებით მანიპულირება ადვილი არ არის, როგორც ეს შეიძლება მოხდეს ფინანსური ანგარიშგების სხვა კომპონენტებთან მიმართებაში. ასევე, ფულად ნაკადებზე გავლენას არ ახდენს სააღრიცხვო პოლიტიკა ან პროფესიული განსჯა. ყოველივე აღნიშნული ამაღლებს ფულადი რესურსების მდგომარეობის ანალიზის მნიშვნელობას საწარმოში (ჯიქია, მ., 2019).

ორგანიზაციას ექმნება ფინანსური სირთულეები, თუ ფულადი საშუალებების წილი მიმდინარე აქტივებში შემცირებულია მაშინ, როცა მიმდინარე ვალდებულებები არის გაზრდილი. აღნიშნული პრობლემის გადაჭრას უზრუნველყოფს ფულადი საშუალებების ანალიზი, რომლითაც ხორციელდება ფულადი სახსრების საკმარისობის დონის განსაზღვრა; საწარმოს მიერ ფულადი საშუალებების გამომუშავების უნარის და ფულადი ნაკადების შემოღინებისა და გაღინების სინქრონულობის შეფასება (სრესელი, ნ., სრესელი, რ., & ჯიქია, მ.).

აღსანიშნავია, რომ საწარმოს მიერ მიღებული მოგება და ფულადი საშუალებები, ძირითადად, ერთმანეთს არ ემთხვევა. შესაძლოა, საწარმომ საანგარიშგებო პერიოდი მნიშვნელოვანი მოგებით დაასრულოს, მაგრამ ფულადი

სახსრები ცოტა ჰქონდეს. ფული სამეურნეო საქმიანობაში სასიცოცხლოდ მნიშვნელობანია, რადგან ფულით ისეთი ოპერაციები, რომელსაც საწარმო თავს ვერ აარიდებს, მაგალითად: ხელფასების გაცემა; წარმოებისათვის საჭირო რესურსების შეძენა; კრედიტორული დავალიანებების დაფარვა და სხვა. შესაბამისად, საწარმოს მართვის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ფულად ნაკადებს (ჯიქია, მ., 2018).

ფულადი ნაკადების ანგარიშგება ასახავს საწარმოში ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების მიღებასა და გადინებას საანგარიშგებო პერიოდის განმავლობასი. იგი მზადდება საკასო მეთოდით, რადგან ზუსტად იქნას აღწერილი ფულადი საშუალებების მოძრაობა. ფულად საშუალებებს მიეკუთვნება: ნაღდი ფული, საბანკო ანგარიშებზე არსებული ფული ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში. ფულადი სახსრები ყველაზე ლიკვიდური საშუალებებია, რადგან მათ გამოყენება, როგორც გაცვლის საშუალება ნებისმიერ მომენტშია შესაძლებელი. იგი ინფორმაციის მომხმარებელს საშუალებას აძლევს შეაფასოს საწარმოს წმინდა აქტივებში მომხდარი ცვლილებები, მისი ფინანსური სტრუქტურა, ლიკვიდობა, გადახდისუნარიანობა და საწარმოს შესაძლებლობა, თუ რამდენად დროულად მოახდენს რეაგირებას ფულადი სახსრების რაოდენობრივ მხარეზე, ვითარებისა და პირობების შესაბამისად (კვატაშიძე, ნ., 2018).

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, საწარმომ ფულადი ნაკადების ანგარიშგებისათვის, შემოსული და გასული თანხები უნდა ასახოს საქმიანობის სფეროების მიხედვით, რის გამოც ფულადი ნაკადების ანგარიშგება იყოფა 3 ნაწილად:

1. ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან;
2. ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან;
3. ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან.

ყოველი ნაწილის ბოლოს ითვლება „წმინდა ფულადი ნაკადი“, რომელიც მიიღება შემოსული და გასული ფულადი საშუალებების დაჯამებით.

საწარმოს საქმიანობის შეფასების მთავარი ინდიკატორი საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების ოდენობაა. ამ ნაწილით ვარკვევთ, შემოვა თუ არა საწარმოში საკმარისი რაოდენობის ფულადი საშუალებები საწარმოს ძირითადი საქმიანობიდან, რათა მოხდეს ვალდებულებების დროულად დაფარვა, საწარმოს სიმძლავრეების შენარჩუნება და ინვესტიციების განხორციელება, ისე რომ კომპანიას არ დასჭირდეს რესურსების მოძიებ გარე წყაროებიდან. საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ ფულად ნაკადებს მიეკუთვნება: საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული თანხები; საქონელსა და მომსახურებაზე მომწოდებლისათვის გადახდილი თანხები; თანამშრომლებისათვის გაცემული თანხები; პარტნიორებზე გაცემული თანხები; როიალდებიდან, ჰონორარებიდან, საკომისიო გადასახდებლებისაგან ან სხვა შემოსავლებიდან მიღებული თანხები. საოპერაციო საქმიანობაში ასევე შეიტანება გადახდილი პროცენტები, მოგების გადასახადი და დივიდენდი, რადგან მიიჩნევა, რომ საწარმოს ნორმალური ფინანსური მდგომარეობის დროს, ეს ხარჯები საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით უნდა დაფინანსდეს. აქვე გასათვალისწინებელია ისეთი ხარჯები, როგორიცაა: რეკლამის, საკანცელარიო, საკონსულტაციო, ქირის, მივლინების და სხვა ამდაგვარი ხარჯები, მართალია ისინი საწარმოს ძირითად საქმიანობას არ ასახავენ მაგრამ მათ გარეშე წარმოება ვერ განვითარდება, ამ ხარჯებს იქვე მიეთითება „გაწეული არასაწარმოო ფულადი ხარჯები“.

საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვანი ნაწილია ფულადი სახსრების ანგარიშგებაში იმდენა, რამდენადაც იგი გვიჩვენებს თუ რა დანახარჯები გაწია საწარმომ იმისათვის, რომ შეექმნა საკუთარი წარმოება და მიეღო შემოსავლები. ამ ნაწილში მოცემულია: ძირითადი საშუალებების,



არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები; კვლევით სამუშაოებზე გაწეული დანახარჯები; გარეშე პირზე ავანსად ან სესხად გაცემული თანხები; ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების რეალიზაციიდან მიღებული თანხები.

საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ მომავალი ფულადი ნაკადების მიმართ საწარმოს კაპიტალის მომწოდებლის შესაძლო პრეტენზიები. საფინანსო საქმიანობა იწვევს საწარმოს საკუთარი კაპიტალისა და ნასესხებ საშუალებებში რაოდენობრივ და სტრუქტურულ ცვლილებებს. მასთან დაკავშირებული ფულადი საშუალებებია: აქციებისა და საკუთარი კაპიტალის სხვა ინსტრუმენტების გამოშვების შედეგად მიღებული თანხები; მესაკუთრის მიერ აქციების შეძენის ან გამოსყიდვის მიზნით გადახდილი თანხები; სესხების დასაფარად გადახდილი ფულადი საშუალებები; მოიჯარისათვის ფინანსური იჯარის შემცირების მიზნით გადახდილი ვალდებულების შესამცირებელი თანხები.

ანალიზში დიდი ყურადღება ეთმობა ფულადი ნაკადების მოძრაობის შესწავლას, რადგან ფულადი ნაკადების გადინებასა და შემოდინებას შორის არსებული ობიექტური უთანაბრობის შედეგად წარმოქმნილი პრობლემები ნაღდ ფულზე. ფულადი ნაკადების ანგარიშგების მომზადების ორ მეთოდი არსებობს: პირდაპირი და არაპირდაპირი. ანალიზისათვის პირდაპირი მეთოდი გამოიყენება, რადგან იგი დეტალურად ხსნის ფულადი სახსრების მოძრაობას ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებში და შეგვიძლია დეტალური დასკვნები გამოვიტანოთ საშუალებების საკმარისობის შესახებ. იგი მზადდება მთავარი წიგნის ფულადი თანხების აღმრიცხველი ანგარიშგებიდან.

**ცხრილი N 2.2.1. ფულადი საშუალებების მიღებისა და გასვლის სტრუქტურა (ჯიქია, მ., 2018)**

მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ლ ე ბ ი
-------------------------

<b>საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები</b>	
<b>შემოდინება</b>	<b>გადინება</b>
საქონლისა და მომსახურებისათვის მიღებული ფულადი სახსრები	საქონლისა და მომსახურებისათვის გადახდილი ფულადი სახსრები
როიალტიდან, ჰონორარიდან, საკომისიო გადასახდელებიდან და სხვა შემოსავლებიდან მიღებული ფულადი სახსრები	თანამშრომლებისათვის გადახდილი ხელფასები
სადაზღვევო თანხების სახით მიღებული ფულადი სახსრები	სადაზღვევო თანხების გადასახდელად გასული ფულადი სახსრები
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახსადების დაბრუნება	საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახსადების დასაფარავად გასული ფულადი სახსრები
კომერციული და სავაჭრო მიზნით დადებულ კონტრაქტებთან დაკავშირებით მიღებული ფულადი სახსრები	კომერციული და სავაჭრო მიზნით დადებულ კონტრაქტებთან დაკავშირებით გადახდილი ფულადი სახსრები
მიღებული პროცენტები და დივიდენდები	გადახდილი პროცენტები და დივიდენდები
<b>საინვესტიციო საქმიანობის ფულადი ნაკადები</b>	
ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები	ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები
სხვა საწარმოს საკუთარ კაპიტალში წილის ან სასესხო ინსტრუმენტებისა და ერთობლივი საქმიანობის წილის გაყიდვით მიღებული ფულადი სახსრები	სხვა საწარმოს საკუთარ კაპიტალში წილის ან სასესხო ინსტრუმენტებისა და ერთობლივი საქმიანობის წილის შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები

გაცემული ავანსებისა და სესხების დასაფარავად მიღებული ფულადი სახსრები	სხვა პირზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები
<b>საფინანსო საქმიანობის ფულადი ნაკადები</b>	
სავალო ფასიანი ქაღალდების, თამასუქების, ობლიგაციების, გირაოებისა და სხვა მოკლე და გრძელვადიანი სესხების გამოშვებით მიღებული ფულადი სახსრები	სესხების დასაფარავად გადახდილი ფულადი სახსრები ფინანსური იჯარის ვალდებულების შესამცირებლად გადახდილი ფულადი სახსრები

ფულადი ნაკადების ანგარიშგების არაპირდაპირი მეთოდით შედგენისათვის საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრების გამოთვლისთვის დასაბეგრი ან წმინდა მოგების მაჩვენებელი უნდა დაკორექტირდეს ხარჯებითა და შემოსავლებით, ანუ დაემატება ისეთი არაფულადი ხარჯები, როგორცაა: ცვეთის ხარჯი, გადავადებული გადასახადები, კურსთა შორის სხვაობით მიღებული მოგება/ზარალი, დაემატება საპროცენტო ხარჯები და გამოაკლდება საპროცენტო შემოსავლები. რის შედეგადაც მიიღება მოგება საბრუნავ საშუალებებში ცვლილებამდე. არაპირდაპირი მეთოდი კარგად აღწერს ურთიერთკავშირს ფინანსურ შედეგსა და საწარმოს ანგარიშზე ფულადი საშუალებების სიდიდის ცვლილებებს შორის.

**ცხრილი N 2.2.2. ფულადი ნაკადების ანგარიშგების სქემა არაპირდაპირი მეთოდით**

დაბეგვრამდე წმინდა მოგება საოპერაციო საქმიანობიდან	
+ არაფულადი ხარჯები	
- არაფულადი შემოსავლები	
- სხვა კომპონენტების ფულადი მუხლები	
- სასაქონლო-მატერიალური ფასეულ ზრდა	+ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების კლება
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების ზრდა	+ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების კლება
- მომწოდებელთა კრედიტორული დავალიანებების კლება	+ მომწოდებელთა კრედიტორული დავალიანებების ზრდა

საანალიზო საწარმოს ფულადი ნაკადების ანგარიშგების მომზადებისათვის გამოყენებული აქვს არაპირდაპირი მეთოდი.

**ცხრილი N 2.2.3. სს „ქართული ლუდის კომპანია“**  
**2018 წლის ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება**  
**(მომზადებულია არაპირდაპირი მეთოდით)**

‘000 ლარი	2018	2017	2016	ცვლილება	
				2018	2017
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან</b>					
მოგებამოგების გადასახადისგადახდამდე	7,371	4,823	4,500	2,548	323
<b>კორექტირებები:</b>					
ცვეთა დაამორტიზაცია	10,655	8,911	8,048	1,744	863
ზარალიძირითადისაშუალებების გაყიდვიდან	310	286	-	24	286
უიმედო ვალისხარჯი	323	445	450	-122	-5
მეკავშირესაწარმოს ზარალისწილიგადასახადების გამოკლებით	316	-	-	316	-
წმინდაფინანსური ხარჯები	2,196	6,073	4,461	-3,877	1,612
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე</b>	<b>21,171</b>	<b>20,538</b>	<b>17,459</b>	<b>633</b>	<b>3,079</b>
ცვლილება მარაგებში	(3,898)	(3,702)	(2,351)	(196)	(1,351)
ცვლილება სავაჭრო და მოთხოვნებში	(2,738)	(6,861)	(1,421)	4,123	(5,440)
ცვლილება მიმდინარე საგადასახად ვალდებულებაში	(601)	-	-	(601)	-
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	507	1,892	(555)	-1,385	1,337
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან მოგების გადასახადების</b>	<b>14,441</b>	<b>11,867</b>	<b>13,132</b>	<b>2,574</b>	<b>-1,265</b>

გადახდამდე					
<b>წმინდა ფულადი ნაკადები</b>	<b>14,441</b>	<b>11,867</b>	<b>13,132</b>	<b>2,574</b>	<b>-1,265</b>
საოპერაციო საქმიანობებიდან					
<b>ფულადი ნაკადებისაინვესტიციო საქმიანობებიდან</b>					
ძირითადი საშუალებების შეძენა	(16,044)	(8,873)	(19,507)	(7,171)	10,634
კაპიტალის საინვესტიციოს შეძენა	(3,731)	-	(72)	(3,731)	72
სხვა გრძელვადიანი აქტივის შეძენ	-	-	(274)	-	274
<b>საინვესტიციო საქმიანობებში</b>	<b>(19,775)</b>	<b>(8,873)</b>	<b>(19,853)</b>	<b>(10,902)</b>	<b>10,980</b>
გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები					
<b>ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობებიდან</b>					
შემოსავლები სესხებიდან	133,771	5,078	83,971	128,693	-78,893
სესხების დაფარვა	(117,848)	(7,512)	(74,305)	(110,336)	66,793
გადახდილი პროცენტი	(3,187)	(1,544)	(2,403)	(1,643)	859
<b>წმინდა ფულადი სახსრები</b>	<b>12,736</b>	<b>(3,978)</b>	<b>7,263</b>	<b>8,758</b>	<b>3,285</b>
ფინანსური საქმიანობებიდან/ (გამოყენებული ფინანსურ საქმიანობებში)					
<b>წმინდა მატება/(კლება) ფულადი სახსრებსა და საბანკო ნაშთებზე</b>	<b>7,402</b>	<b>(984)</b>	<b>542</b>	<b>6,418</b>	<b>-442</b>
ფულადი სახსრები და საბანკო ნაშთები 1 იანვარს	1,050	1,834	1,272	-784	562
გაცვლითი კურსის მოძრაობის გავლენა ფულადსახსრებსა და საბანკო ნაშთებზე	31	200	20	-169	180
<b>ფულადი სახსრები და საბანკო ნაშთები 31 დეკემბერს</b>	<b>8,483</b>	<b>1,050</b>	<b>1,834</b>	<b>7,433</b>	<b>-784</b>

სს „ქართული ლუდის კომპანიის“ ფულადი ნაკადების ანალიზისათვის წარმოგიდგენთ წმინდა ფულადი ნაკადების სტრუქტურულ ცხრილს.

**ცხრილი N 2.2.4. წმინდა ფულადი ნაკადების სტრუქტურული ცხრილს ანალიზი**

მაჩვენებლები	2016 წელი			2017 წელი			2018 წელი		
	ლ	ლ	ხვ.წ (%)	ლ	ლ	ხვ. წ (%)	ლ	ლ	ხვ. წ (%)
ფულის საწყისი ნაკადები	1,834		77.18	1,050		1,590.91	8,483		53.40
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან	13,132		5,564.14	11,86		17,980.30	14,441		90.91
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან		(19,853)	(835.56)		(8,873)	(13,443.94)		(19,775)	(124.49)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსო საქმიანობებიდან	7,263		305.68		(3,978)	(6,027.27)	12,736		80.18
ფულის საბოლოო	2,376		100	66		100	15,885		100

სტრუქტურული ცხრილის მონაცემების შედეგად ვხედავთ, რომ 2016 წელს საწარმოს აქვს უარყოფითი ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან, რაც იმას გულისხმობს რომ საწყის ეტაპზე ბევრი ძირითადი საშუალებისა და ინვენტარის შეძენა მოუწევდა საოპერაციო საქმიანობის განსახორციელებლად. 2017 წელს საწარმოს საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობიდან აქვს უარყოფითი ფულადი სახსრები, რაც გულისხმობს იმას რომ კომპანიას გააჩნია ფულადი საშუალებების დეფიციტი. რომელიც 2018 წელს საგრძნობლად გაიზარდა და აღმოიფხვრა.

ფულადი საშუალებების საკმარისობის შესაფასებლად უნდა განვსაზღვროთ ბრუნვათა რიცხვი და დღეებში ბრუნვის პერიოდის ხანგრძლივობა, რისთვისაც უნდა გამოვიანგარიშოთ შემდეგი კოეფიციენტები: ფულადი საშუალების ბრუნვის რიცხვი; ბრუნვის ხანგრძლივობა დღეების მიხედვით და ფულადი თანხების დამაგრების კოეფიციენტი. ფულადი საშუალების ბრუნვის რიცხვი =  $\frac{\text{ამონაგები რეალიზაციიდან}}{\text{ფულადი საშუალებების საშუალო ნაშთი}}$ . მოცემული კოეფიციენტი 2018-K =  $\frac{87,834}{(8,483+1050)/2} = 18.43$ ; ხოლო 2017 =  $\frac{75,044}{(1834+1050)/2} = 52.04$ . ბრუნვის ხანგრძლივობა დღეების მიხედვით =  $\frac{\text{ფულადი საშუალებების საშუალო ნაშთი} \times \text{საანალიზო პერიოდის ხანგრძლივობაზე}}{\text{ამონაგები რეალიზაციიდან}}$ , მოცემული კოეფიციენტი

$2018-D = \frac{4,766.5 \times 365}{87,834} = 19.81$ ; ხოლო  $2017 = \frac{1,442 \times 365}{75,044} = 7.01$  . ფულადი თანხების დამაგრების კოეფიციენტი =  $\frac{\text{ფულადი თანხები ანგარიშებით}}{\text{წლიური შემოსავალი}}$ . მოცემული კოეფიციენტი  $2018-Y = \frac{8,483}{87,834} = 0.1$ ; ხოლო  $2017 = 0.01$ .

**ცხრილი N 2.2.5. ფულის ბრუნვის კოეფიციენტები დინამიკაში**

<i>კოეფიციენტები</i>	<i>2017</i>	<i>2018</i>	<i>ცვლილება</i>
<i>ფულადი საშუალების ბრუნვის რიცხვი</i>	52.04	18.43	-33.61
<i>ბრუნვის ხანგრძლივობა დღეების მიხედვით</i>	7.01	19.81	12.8
<i>ფულადი თანხების დამაგრების კოეფიციენტი</i>	0.01	0.1	0.09

ფულის ბრუნვის კოეფიციენტების დინამიკური ცხილიდან ვხედავთ, რომ ფულადი საშუალებების ბრუნვის რიცხვი 2017 წელთან შედარებით შემცირდა 33.61-ით, რაც უარყოფითია საწარმოსათვის. ასევე უარყოფითია ის რომ ბრუნვის ხანგრძლივობა დღეების მიხედვით გაიზარდა, ეს იმას ნიშნავს, რომ საწარმოს უჭირს ფულის ამოღება, 2018 წელს ფულის შემოსვლას საწარმოში დაახლოებით 20 დღე სჭირდებოდა, რაც საკმაოდ დიდია. ასევე უარყოფითი ტენდენციის მაჩვენებელია დამაგრების კოეფიციენტის ზრდა. ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს რომ 2018 წელს კომპანიას ყოველი 1 ლარი შემოსავლის მისაღებად უფრო მეტი თანხების დაბანდება სჭირდება.

მაშასადამე, საანალიზო საწარმოს ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზისას ირკვევა, რომ კომპანიას ფულის ბრუნვასთან დაკავშირებით არასასურველი ტენდენცია ახასიათებს და საჭიროა ამ მხრივ ღონისძიებების შემუშავება.

## 2.3 საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის მაჩვენებლების შეფასება და ანალიზი

საკუთარი საბრუნავი საშუალებების ანალიზის მეშვეობით შეგვიძლია კომპანიის საქმიანობაში შევავსოთ ისეთი ხარისხობრივი მაჩვენებელი, როგორცაა ის, თუ რამდენად ეფექტურად იყენებს საწარმო ავანსირებულ კაპიტალს. თუ კაპიტალში ავანსირებული ღირებულება დაჩქარდა ე.ი კომპანიას გამოუთავისუფლდა ფულადი საშუალებები, რაც დაეხმარება მას რეინვესტირებაში, ხოლო თუ ეს მაჩვენებელი შემცირდა გამოდის რომ კომპანიას სჭირდება დამატებითი ფულადი სახსრების მოძიება. საბრუნავი საშუალებების ბრუნვაში ყოფნის ხანგრძლივობა დამოკიდებულია შიგა და გარე ფაქტორებზე. გარე ფაქტორებია: საწარმოს საქმიანობის სფერო, საწარმოს მასშტაბი, ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა. შიგა ფაქტორებია: ფასთა პოლიტიკა, აქტივების სტრუქტურა, მარაგების შეფასების მეთოდოლოგია (ჯიქია, მ., 2018).

აღსანიშნავია რომ სახსრების დაბანდება შესაძლებელია გრძელვადიან და მოკლევადიან აქტივებში. მოკლევადიან აქტივებში დაბანდებული საშუალებები უფრო სწრაფად ბრუნვადია, მისგან მიღებული შემოსავალი წელიწადში რამდენჯერმეც კი შემოედინება კომპანიაში, ხოლო გრძელვადიანი აქტივებში დაბანდებულ საშუალებებს ბრუნვის უფრო დაბალი ტემპი ახასიათებთ. საბრუნავი კაპიტალის ბრუნვადობის ხარისხი შეისწავლება მათი ბრუნვადობის მაჩვენებლით, რომლის სამი მაჩვენებელიც არსებობს:

1. ბრუნვის რიცხვი რაც გვიჩვენებს იმას, თუ რამდენჯერ შემობრუნდება ავანსირებული ღირებულება წელიწადში.

$$K = \frac{\text{წლიური შემოსავალი რეალიზაციიდან}}{\text{მიმდინარე აქტივების საშუალო წლიური ნაშთი}}$$

2. ბრუნვის პერიოდი დღეებშიზომავს, თუ რამდენი დღე სჭირდება ავანსირებული ღირებულების ერთ შემობრუნებას. იგი ბრუნვის რიცხვის შებრუნებული

$$\text{მაჩვენებელია- } K = \frac{\text{მიმდინარე აქტივების საშუალო წლიური ნაშთი} \times 365}{\text{წლიური შემოსავალი რეალიზაციიდან}}$$



3. დამაგრების (ანუ დაყოვნების) კოეფიციენტები, იგი ახასიათებს, თუ რამდენი ლარის ავანსირებული ღირებულება უნდა იყოს დაბანდებული მუდმივად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ერთი ლარი შემოსავლის მიღება-

$$K = \frac{\text{მიმდინარე აქტივების საშუალო წლიური ნაშთი}}{\text{წლიური შემოსავალი რეალიზაციიდან}}$$

აღნიშნული კოეფიციენტები აგრეთვე განვიხილეთ ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზისას. ახლა კი დაგვჭირდება საანალიზო საწარმოს საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის მაჩვენებლების ინფორმაციის გასაანალიზებლად.

**ცხრილი N 2.3.1. საანალიზო საწარმოს საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის  
მაჩვენებლების ანალიზი**

<i>მაჩვენებლები</i>	<i>2016</i>	<i>2017</i>	<i>2018</i>	<i>ცვლილება</i>	
				<i>2018</i>	<i>2017</i>
<i>მიმდინარე აქტივების საშუალო ნაშთი</i>	1,834	1,050	8,483	7,433	-784
<i>(ფულადი თანხების გარეშე)</i>					
<i>შემოსავალი რეალიზაციიდან</i>	60,728	75,044	87,834	12,790	14,316
<i>საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის რიცხვი</i>	5.60	2.85	2.36	-0.5	-2.75
<i>ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა დღეებში</i>	65.11	128.05	154.57	26.52	62.94
<i>დამაგრების კოეფიციენტი</i>	0.17	0.35	0.42	0.07	0.18

როგორც ცხრილიდან ჩანს ბრუნვის რიცხვი მცირდება, ხოლო ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა იზრდება, რაც იმას გულისხმობს რომ საწარმოს დამატებითი სახსრების მოძიება შეიძლება დასჭირდეს, რადგან არ აქვს საკმარისი რაოდენობის ფულადი საშუალებები. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დამაგრების კოეფიციენტი 2016 წელთან შედარებით 0.18-ით, ხოლო 2017 წელთან შედარებით 0.07-ით გაიზარდა, როგორც ჩვენთვის უკვე ცნობილია დამაგრების კოეფიციენტის ზრდა უარყოფითი მოვლენაა საწარმოსათვის, რადგან ნათელია რომ საწარმოს 1 ლარი შემოსავლის მისაღებად უფრო მეტი ფულადი სახსრების დაბანდება უწევს.

საბრუნავი საშუალებების გამოყენების ეფექტიანობის დასახასიათებლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება გამოთავისუფლებული საბრუნავი საშუალებების შეფარდებითი სიდიდის გაანგარიშებას, რომელიც გვიჩვენებს - საბრუნავი საშუალებების ფაქტობრივი სიდიდე, რამდენით მეტია ან ნაკლებია იმ სიდიდეზე, რომელიც დასჭირდებოდა საწარმოს საანალიზო პერიოდში, საბაზისო პერიოდში მათი გამოყენების პერიოდიდან გამომდინარე. ფორმულა:  $H = \frac{SK0 \times R1}{R0} - SK1$ , სადაც, R1 - რეალიზებული პროდუქციის ბრუნვა საანგარიშგებო პერიოდში; R0 - რეალიზებული პროდუქციის ბრუნვა საბაზისო პერიოდში; SK1 - საბრუნავი კაპიტალის სიდიდე საანგარიშგებო პერიოდში; SK0 - საბრუნავი კაპიტალი სიდიდე საბაზისო პერიოდში (ჯიქია, მ., 2018). საანალიზო საწარმოს სს “ქართული ლუდის კომპანიის“ მაგალითზე, 2018 წლისთვის,  $H = \frac{55,117 \times 87,834}{60,728} - 55,117 = 24,602$

საბრუნავი საშუალებების მთლიან მოცულობაში მარაგისა და ხარჯების აბსოლუტური სიდიდისა და ხვედრითი წონის გადიდება შეიძლება მეტყველებდეს:

- საწარმოს საწარმოო პოტენციალის გაზრდაზე;
- საწარმოს მისწრაფებაზე საწარმოო მარაგში დაბანდების გზით დაიცვას ფულადი აქტივები ინფლაციის ზემოქმედებისაგან;
- არჩეული სამეურნეო სტრატეგიის არარაციონალურობაზე, რომლის შედეგად მიმდინარე აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი მობილიზებულია მარაგში, რომელთა ლიკვიდობა შეიძლება არ იყოს მაღალი. მართალია, მარაგისა და ხარჯების ზრდამ შეიძლება გამოიწვიოს მიმდინარე აქტივების ლიკვიდობის ამაღლება, მაგრამ ამასთან გასაანალიზებელია კრედიტორული დავალიანების ზრდის საკითხიც, რამაც შეიძლება მიგვიყვანოს ფინანსური მდგომარეობის გაუარესებამდე (ჯიქია, მ., 2018).

მარაგების ბრუნვადობის ანალიზისას გამოიყენება შემდეგი მაჩვენებლები:

1. მარაგების ბრუნვადობის კოეფიციენტი - ამ კოეფიციენტით ხასიათდება ბრუნვათა ის რიცხვი, რომელიც შესაძლებელია შეასრულოს მარაგმა

საანალიზო პერიოდის განმავლობაში. იგი გაიანგარიშება:

$$K = \frac{\text{ამონაგები რეალიზაციიდან}}{\text{მარაგის საშუალო სიდიდე}}, \text{ სადაც მარაგის საშუალო სიდიდე გამოითვლება წლის}$$

დასაწყისსა და წლის ბოლოს არსებული მარაგების შეფარდებით 2-თან.

საანალიზო საწარმოსათვის ეს კოეფიციენტი უდრის -2018 წელს  $K = 87,834/16,460 = 5.34$ ; ხოლო 2017 წელს  $K = 5.65$ . მაშასადამე მარაგების ბრუნვადობის კოეფიციენტი 2018 წელს დასაშვებ დიაპაზონში ჯდება, რაც იმას გულისხმობს რომ მარაგებში ავანსირებული თანხები საწარმოში დაახლოებით 5-ჯერ შემობრუნდება, თუმცა გასათვალისწინებელია რომ 2017 წელთან შედარებით ბრუნვის ხანგრძლივობა შემცირდა, რაც უარყოფითი მოვლენაა.

2. მარაგის ბრუნვის ხანგრძლივობის კოეფიციენტი დღეებში, რომელიც

გამოითვლება ფორმულით:  $D = \frac{\text{მარაგის საშუალო ნაშთი} \times \text{საანალიზო პერიოდის ხანგრძლივობა}}{\text{ამონაგები რეალიზაციიდან}},$

ეს კოეფიციენტი საანალიზო საწარმოსათვის 2018 წელს  $= 16,460 \times 365 / 87,834 = 68.4$ ; ხოლო 2017 წელს  $= 13,261 \times 365 / 75,044 = 64.5$ . ასევე შენელდა მარაგების ბრუნვის ხანგრძლივობა დღეებში.

3. დებიტორული დავალიანების ბრუნვადობა აღწერს, საწარმოს მიერ კრედიტის გაცემის გაფართოებას ან შემცირებას. მოცემული კოეფიციენტის გაზრდა გულისხმობს, რომ შემცირდა კრედიტით გაყიდვები, ხოლო შემცირება - გაცემული კრედიტის მოცულობის ზრდას, იგი გაიანგარიშება ფორმულით:

$$K = \frac{\text{ამონაგები რეალიზაციიდან}}{\text{დებიტორული დავალიანების საშუალო სიდიდე}}$$

სს „ქართული ლუდის კომპანიისათვის“ ეს კოეფიციენტი 2017 წელს  $= 75,044 / 11,623.5 = 6.45$ ; ხოლო 2018 წელს  $= 87,834 / 15,969 = 5.5$ . საიდანაც ვხედავთ, რომ საწარმოს კრედიტით გაყიდვები ეზრდება, რაც წარმოქმნის რისკებს, რომ ვერ შეძლებს ყველა დებიტორული დავალიანების ამიღებას დროულად. აღნიშნული მაჩვენებლის საფუძველზე, შეგვიძლია გამოვიანგარიშოთ დებიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდი.

4. დებიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდი გამოითვლება:

$$D = \frac{\text{საანგარიშგებო პერიოდის ხანგრძლივობა}}{\text{დებიტორული დავალიანების ბრუნვალობის კოეფიციენტი}}, \text{ რაც აღნიშნული საწარმოსათვის}$$

2017 წელს =  $365/6.45=56.63$ ; ხოლო 2018 წელს =  $365/5.5= 66.36$ . მაშასადამე, საწარმო დებიტორული დავალიანების ამიღებას უფრო დიდი ხანი ანდომებს საანგარიშგებო წელს.

**ცხლირი N 2.3.2. საწარმოს კაპიტალისა და მისი შემადგენელი ნაწილების ბრუნვალობა**

<i>მაჩვენებლები</i>	<i>2016</i>	<i>2017</i>	<i>2018</i>	<i>ცვლილება</i>	
				<i>2018</i>	<i>2017</i>
<i>1. ამონაგები რეალიზაციიდან</i>	60,728	75,044	87,834	12,790	14,316
<i>2. კაპიტალის მთლიანი საშუალო წლიური ღირებულ მათ შორის:</i>					
<i>ა) ძირითადი კაპიტალი</i>	55,117	59,940	67,164	7,224	4,823
<i>ბ) საბრუნავი კაპიტალი მათ შორის:</i>					
• <i>მარაგი და ხარჯები</i>	11,410	15,112	17,808	2,696	3,702
• <i>ფულადი სახსრები</i>	1,834	1,050	8,483	7,433	-784
• <i>დ/დავალიანებები</i>	8,422	14,825	17,113	2,288	6,403
<i>3. კაპიტალის საერთო ღირებულების ბრუნვალობა დღეებში</i>					
<i>ა) ძირითადი კაპიტალი</i>	331.28	291.54	279.10	-12.44	258.26
<i>ბ) საბრუნავი კაპიტალი მათ შორის:</i>					
• <i>მარაგი და ხარჯები</i>	68.58	73.50	74	0.5	4.92
• <i>ფულადი სახსრები</i>	11.02	5.11	35.25	30.14	-5.91
• <i>დ/დავალიანებები</i>	50.62	72.11	71.11	-1	21.49

მოცემული ცხრილის მიხედვით შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

- ✓ პროდუქციის რეალიზაციის დღიური ბრუნვა 2017 წელს იყო  $75,044/365=205.6$ ;  
ხოლო საანგარიშგებო წელს =  $87,834/365=240.64$  ლარი - როგორც ვხედავთ რეალიზებული პროდუქციის ბრუნვა საანგარიშგებო წელს შენელდა;
- ✓ ბრუნვადობის შენელება წინა წელთან შედარებით გამოიწვია:
  - ძირითადი კაპიტალი=-12.44 (დაჩქარება)
  - საბრუნავი კაპიტალი=29.64 (შენელება)
- ✓ ბრუნვიდან დამატებული მოზიდული მთლიანი კაპიტალის თანხა = $240.64 \times 17.2 = 4,139.008$  ლარი, მათ შორის:
  - ძირითადი კაპიტალის ბრუნვადობის დაჩქარებით= $240.64 \times (-12.44) = 2,993.5616$ ;
  - საბრუნავი კაპიტალის ბრუნვადობის შენელებით =  $240.64 \times 29.64 = 7,132.5696$ .

ჩატარებული ანალიზის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წინა წელთან შედარებით, მთლიანი კაპიტალის ბრუნვადობის მაჩვენებელი 17.2 დღით გაიზარდა, შესაბამისად კომპანიისათვის საჭიროა 4,139.008 ლარის კაპიტალის მოზიდვა საბრუნავ საშუალებებში, რადგან საბრუნავი კაპიტალის შენელებამ გამოიწვია კაპიტალის ბრუნვადობის მაჩვენებლის შეფერხება.

## 2.4 საწარმოს საქმიანი აქტივობის შეფასება და ანალიზი

საწარმოს საქმიანი აქტიურობის ქვეშ იგულისხმება საწარმოში არსებულ რესურსებში წინასწარ გაღებული, ანუ ავანსირებული, ანუ წინასწარ დაბანდებული სახსრების გამოყენების ტემპი, სიჩქარე (ჭილაძე, ი., 2018). იმისათვის რომ საწარმომ ფუნქციონირება არ შეაჩეროს მას მუდმივად უნდა ჰქონდეს გარკვეული რესურსები, რომელიც სჭირდება წარმოებისა და რეალიზაციის პროცესში. საწყობში ყოველთვის უნდა ჰქონდეს მასალების მარაგების ისეთი რაოდენობა რომ წარმოებას პრობლემა არ შეექმნას როგორც სიმცირით ასევე სიჭარბით. მარაგების დეფიციტის დროს ფერხდება წარმოება, ხოლო სიჭარბე გულისხმობს რომ ვერ ხდება რესურსების სწორი ათვისება და კომპაბია უამრავ მარაგს დაკარგავს ფუჭად, ამ პროცესებს მენეჯმენტი უნდა აკვირდებოდეს.

საწარმოს საქმიანი აქტიურობა გამოიხატება იმით, თუ როგორ ვითარდება ორგანიზაცია და აღწევს თუ არა იგი დასახული მიზნებს, რასაც ასახავს აბსოლუტური ღირებულებითი და ფარდობითი მაჩვენებლები.

საქმიანი აქტიურობის ანალიზი მდგომარეობს სხვადასხვა ფინანსური კოეფიციენტის დონისა და დინამიკის გამოკვლევაში, კერძოდ შეისწავლება ბრუნვადობის მაჩვენებლები. ისინი კომპანიისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც ბრუნვის სიჩქარეზეა დამოკიდებული წლიური ბრუნვის მოცულობა. ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობა, მისი გადახდისუნარიანობა დამოკიდებულია იმაზე, აქტივებში დაბანდებული სახსრები რამდენად სწრაფად გადაიქცევა ფულად სახსრებად.

ძირითადი მაჩვენებლების შეფასებისათვის, ანალიზში გამოიყენება შემდეგი თანაფარდობა, რომელსაც „საწარმოს ეკონომიკის ოქროს წესი“-ს სახელით იცნობენ რაც გულისხმობს შემდეგს: მოგების ზრდის ტემპი უნდა უსწრებდეს ამონაგები რეალიზაციიდან ზრდის ტემპს, რაც საწარმოს რენტაბელობის ზრდას გულისხმობს; ამონაგები რეალიზაციიდან ზრდის ტემპი უნდა უსწრებდეს აქტივების ზრდის ტემპს,

რაც აქტივების გამოყენების ეფექტიანობას გულისხმობს; და ბოლოს, ყველა ზრდის ტემპი 100%-ზე მეტი უნდა იყოს. თუმცა აქვე უნდა აღნიშნოს, რომ თუ კომპანიის საქმიანობას სჭირდება სახსრების დაბანდება, რომელსაც ამოიღებს და მიიღებს მოგებას გრძელვადიან პერიოდში, შესაძლოა დაირღვეს ეს „ოქროს წესი“. მოცემული „ოქროს წესი“-ს თანაფარდობა ასე გამოიყურება:

წლიური მოგების ტემპი > რეალიზაციის ტემპი > ავანსირებული კაპიტალის ტემპი > 100%, რაც ნიშნავს, რომ საწარმოს პოტენციური იზრდება, იგი იყენებს რესურსებს ეფექტიანად, ამასთან, მოგების ზრდის ტემპი ხარჯების შემცირების ტემპს აღემატება.

**ცხრილი N 2.4.1. საანალიზო საწარმოს საქმიანო აქტივობის ზოგადი შეფასების მაჩვენებლები**

№	მაჩვენებლები	2016	2017	2018	ცვლილება	
					2018	2017
1	ამონაგები რეალიზაციიდან	60,728	75,044	87,834	12,790	14,316
2	წმინა მოგება	4,710	4,823	7,371	2,548	113
3	აქტივები	99,148	111,931	132,448	20,517	12,783
4	რეალიზაციიდან ზრდის ტემპი %	36.9	39.12	38.58	-0.54	2.22
5	მოგების ზრდის ტემპი %	2.86	2.51	3.24	0.73	-0.35
6	აქტივების ზრდის ტემპი %	60.24	58.36	58.18	-0.18	-1.88

როგორც ვხედავთ მოგების ზრდის ტემპი, ყოველ წელს, ძალიან ჩამორჩება რეალიზაციიდან ზრდის ტემპს, ამასთან რეალიზაციის ზრდის ტემპი 2018 წელს მცირდება, რაც საწარმოს რენტაბელობის გაუარესებაზე მიუთითებს. რეალიზაციის ზრდი ტემპს აღემატება აქტივების ზრდის ტემპი, რაც ასევე უარყოფითია, რადგან როგორც ვხედავთ, საწარმოში აქტივების გამოყენება არ ხდება ეფექტიანად. თუმცა აქტივების ზრდის ტემპი დინამიკაში ნელ-ნელა მცირდება, რაც დადებით ტენდენციად ჩაითვლება. მაშასადამე საანალიზო საწარმოსათვის „ოქროს წესი“ არ სრულდება, აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საწარმო ვერ მართავს

ეფექტიანად მის ხელთ არსებულ აქტივებს, რაც კომპანიას არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს.

კაპიტალის ბრუნვალობის დაჩქარების შედეგად მიღებული ეფექტი, პირველ რიგში, აისახება პროდუქციის გამოშვების მოცულობის გადიდებაში, რაც შესაძლებელი იქნება დამატებითი სახსრების მოძიების გარეშე. ასევე იზრდება მოგების თანხა, რადგან დაბანდებული თანხა კომპანიაში აუცილებლად ბრუნდება ნამატით. თუ პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია ზარალიანია, მაშნ ბრუნვალობის დაჩქარებით კომპანიას კიდევ უფრო გაეზრდება ზარალი. მაშასადამე, კომპანიას არა მხოლო ბრუნვის დაჩქარება უნდა სურდეს, არამედ ის ორიენტირებული უნდა იყოს იმაზე რომ ყოველი ერთი ლარის კაპიტალზე გაზარდოს მოგება. აქედან გამომდინარე, მენეჯმენტმა უნდა იფიქროს კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებაზე, რომლის მაჩვენებელიც არის კაპიტალის უკუგება. კაპიტალის უკუგება =  $\frac{\text{მოგება}}{\text{ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის საშუალო წლიური ღირებულება}}$

ურთიერთკავშირი კაპიტალის უკუგებასა და მისი ბრუნვალობის მაჩვენებლებს შორის გამოიხატება შემდეგი სახით (ჯიქია, მ., 2019):

$$= \frac{\text{მოგება}}{\text{კაპიტალის საშუალო წლიური თანხა}} = \frac{\text{ამონაგები რეალიზაციიდან}}{\text{ამონაგები რეალიზაციიდან}} \times \frac{\text{ამონაგები რეალიზაციიდან}}{\text{კაპიტალი საშუალო წლიური თანხა}}$$

**ცხრილი 2.4.2. საანალიზო საწარმოს კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობის მაჩვენებლები**

მაჩვენებლები	წინა წელი	საანგარიშგებო წელი
საწარმოს მოგება	4,823	7,371
ამონაგები რეალიზაციიდან	75,044	87,834
კაპიტალის საშუალო წლიური თანხა	90,927	110,568
კაპიტალის რენტაბელობა %	5.3	6.67
გაყიდვების რენტაბელობა %	6.43	8.39
კაპიტალის ბრუნვალობის კოეფიციენტი	0.825	0.794
კაპიტალის რენტაბელობის ცვლილება %		



მათ შორის:

-გაყიდვების რენტაბელობის ცვლილება

$$6.67-5.3=1.37$$

$$(8.39-6.43)\times 0.825=1.617$$

-კაპიტალის ბრუნვალობის კოეფიციენტის ცვლ

$$(0.794-0.825)\times 8.39=-0.26009$$

როგორც ანალიზური ცხრილიდან ჩანს კაპიტალის რენტაბელობა საანგარიშგებო წელს 1.37%-ით გაიზარდა, რაც გამოწვეულია გაყიდვების რენტაბელობის ცვლილებით. აღსანიშნავია, რომ კაპიტალის რენტაბელობა უფრო გაიზარდებოდა, თუმცა ბრუნვალობა არის შემცირებული 0.26009%-ით.

საწარმოს საქმიანო აქტივობის ანალიზისათვის ასევე გამოიყენება შემდეგი კოეფიციენტები: 1.ფონდუკუგების კოეფიციენტი; 2.საბრუნავი სახსრების ბრუნვალობის კოეფიციენტი; 3.მარაგების ბრუნვალობის კოეფიციენტი; 4.დებიტორული დავალიანების ამოღების კოეფიციენტი; 5.კრედიტორული დავალიანების დაფარვის კოეფიციენტი; 6.საოპერაციო ციკლის ხანგრძლივობის კოეფიციენტი; 7.რესურსების უკუგების ეფექტიანობა; 8.ეკონომიკური ზრდის მდგრადობის კოეფიციენტი (ჩეჩელაშვილი, ა., 2013).

საბრუნავი საშუალებების ბრუნვალობის შესასწავლად გამოიყენება შემდეგი მაჩვენებლები:

1. ბრუნვის პერიოდი დღეებში - ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს, თუ რამდენი დღე სჭირდება ავანსირებული ღირებულების ერთ შემობრუნებას.

$$D = \frac{\text{მიმდინარე აქტივების საშუალო წლიური ნაშთი}}{\text{შემოსავალი რეალიზაციიდან}} \times 365 \text{ ეს კოეფიციენტი } 2017 \text{ წელს} = 128; \text{ ხოლო } 2018 \text{ წლისთვის} = 154$$

2. ბრუნვალობის კოეფიციენტი გვიჩვენებს ავანსირებული ღირებულების ბრუნვის რიცხვს საანალიზო პერიოდში.  $K = \frac{\text{ამონაგები რეალიზაციიდან}}{\text{მიმდინარე აქტივების საშუალო წლიური ნაშთი}}$ . 2017 წლისთვის ბრუნვალობა = 2.85; 2018 წელს = 2.36.

3. დამაგრების კოეფიციენტი განსაზღვრავს საბრუნავი საშუალებების რაოდენობას, რომელიც მიიღება რეალიზებული პროდუქციის ყოველ 1 ლარზე.  

$$K = \frac{\text{მიმდინარე აქტივების საშუალო წლიური ნაშთი}}{\text{შემოსავალი რეალიზაციიდან}}, \text{ რაც } 2017 \text{ წელს} = 0.35; \text{ ხოლო } 2018 \text{ წელს} = 0.42.$$
4. დებიტორული დავალიანების ბრუნვის პერიოდი  

$$= \frac{\text{დებიტორული დავალიანების საშუალო წლიური ნაშთი}}{\text{შემოსავალი რეალიზაციიდან}} \times 365. \text{ მოცემული კოეფიციენტი } 2017 \text{ წელს} = 54.75; \text{ } 2018 \text{ წელს} = 65.7$$
5. ინკასაციის პერიოდი ჯერებში კი შეგვიძლია დებიტორული დავალიანების ბრუნვის პერიოდის შებრუნებული მაჩვენებლით გამოვითვალოთ, ანუ  

$$\frac{\text{შემოსავალი რეალიზაციიდან}}{\text{დებიტორული დავალიანების საშუალო წლიური ნაშთი}}. \text{ ინკასაციის პერიოდი } 2017 \text{ წელს იყო } 6.45; \text{ ხოლო } 2018 \text{ წელს} = 5.5.$$

ამრიგად, 2018 წლისათვის კაპიტალში ავანსირებული ღირებულება, საწარმოში 2.36-ჯერ შემობრუნდება, რაც 2017 წელთან შედარებით შემცირებულია და საწარმოზე ნეგატიურ გავლენას ახდენს. კაპიტალში ავანსირებული ღირებულების შემოსვლისათვის, 2018 წელს დაახლოებით 154 დღეა საჭირო, ეს მაჩვენებელიც გაზრდილია 2017 წელთან შედარებით (128), რაც უარყოფით გავლენას ახდენს საწარმოს მდგომარეობაზე. ანუ კომპანიში მისი მიმდინარე აქტივების ღირებულების ტოლი შემოსავალი 154 დღეში ერთხელ შემოედინება. საანალიზო პერიოდის განმავლობაში (2018 წელს) ყოველ ერთ ლარ შემოსავალზე მოდიოდა 0.42 ლარის საბრუნავი აქტივები. საანალიზო კომპანიას, 2018 წელს, დებიტორული დავალიანებების ამოსაღებად სჭირდება 65.7 დღე, რაც გაცილებით მაღალია, ვიდრე 2017 წელს (54,75). ანუ დაახლოებით ორ თვეზე მეტი სჭირდება კომპანიას დებიტორული დავალიანებების ამოსაღებად. ხოლო წელიწადში, დებიტორული დავალიანებების ამოღებას დაახლოებით 5-6-ჯერ ახორციელებს, ეს მაჩვენებელიც 2017 წელთან შედარებით 0.95-ით არის შემცირებული.

## 2.5 საწარმო-ფინანსური ლევერიჯის შეფასება და ანალიზი

ლევერიჯი არის საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი, რომელსაც ჩვენი აზრით, გარდამავალ პერიოდში განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს.

საწარმოს აქტივებისა და პასივების სტრუქტურის ოპტიმიზაციას, მოგების გადიდების მიზნით, ფინანსურ ანალიზში ლევერიჯს უწოდებენ. სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით ლევერეჯი გაგებულ უნდა იქნეს როგორც ბერკეტი, რომლის მცირე ძალითაც შესაძლებელია არსებითად შეიცვალოს ფირმის საწარმო-ფინანსური საქმიანობის შედეგები (ჯიქია, მ., 2018).

ბინზესს ყოველთვის აქვს საფრთხეები, რომლებიც წინასწარ უნდა იქნას შეფასებული, რათა დროულად მოხდეს თავიდან აცილება და შემუშავებული იყოს თავიდან აცილების ღონისძიებები, რადგან ასეთი რისკები საბოლოოდ დადებითი იყოს კომპანიისათვის. სარისკო სიტუაციების ძირითადი დამახასიათებელი მომენტებია: 1. მოვლენების შემთხვევითი ხასიათი; 2. ალტერნატიული გადაწყვეტილების მიღება; 3. დანაკარგების წარმოშობის ალბათობა; 4. დამატებითი მოგების ალბათობა (ჭილაძე, ი., 2018).

როგორც აღვნიშნეთ, საწარმოს უამრავი რისკი ახასიათებს, მაგრამ ძირითადად გამოიყოფა შიგა და გარე რისკები. რისკები, რომლებიც დაკავშირებულია სამეწარმეო, კომერციულ, ტექნოლოგიურ ან ფინანსურ რისკებთან არის საწარმოს შიგა რისკები. ხოლო ისეთი რისკები, როგორებიცაა, ფისკალური რისკები, დარგობრივი რისკები, საერთაშორისო ან ბუნებრივი რისკები, ეს საწარმოს გარე რისკებია.

ანალიზისათვის გამოიყენება საწარმოს შიგა რისკები. განასხვავებენ ლევერიჯის სამ სახეობას: საწარმოო, ფინანსურ და საწარმო-ფინანსურ ლევერეჯს. ფინანსური ლევერიჯი ასახავს ურთიერთკავშირს მოგებას, საკუთარი და ნასესხები კაპიტალის თანაფარდობას შორის. იგი გვიჩვენებს მოგებაზე გავლენის

შესაძლებლობას საკუთარი და ნასესხები კაპიტალის მოცულობისა და სტრუქტურის ცვლილებების გზით. ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტით შესაძლებელია გავზომოთ კომპანიის ფინანსური რისკები, ვალის ოდენობა საწარმოს საკუთარ კაპიტალთან მიმართებაში. ეს კოეფიციენტი განსაზღვრავს შესაძლებლობას, შეუძლია თუ არა საწარმოს იყოს მომგებიანი. მისი გაანგარიშება შესაძლებელია რამდენი ფორმულით:

$$1.K = \frac{\text{წმინდა მოგების \% - ული ცვლილება}}{\text{\% - მდე მოგების ცვლილება}}; 2.K = \frac{\text{გრძელვადიანი ვალდებულებები}}{\text{საკუთარი კაპიტალი + გრძელვადიანი ვალდებულებები}}$$

$$3.K = \frac{\text{მთლიანი აქტივები}}{\text{საკუთარი კაპიტალი}}$$

ეს კოეფიციენტი იდეალურ შემთხვევაში 1-ის ტოლია და გულისხმობს იმას, რომ საწარმო აქტივებს საკუთარი საშუალებებით აფინანსებს და გამოდის რომ რისკებიც არ არსებობს. თუ ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი 1-ზე მეტია, გამოდის რომ აქტივები აღემატება საკუთარ კაპიტალს, რაც იმით აიხსნება რომ საწარმოს აქტივებში დაბანდებული აქვს არა საკუთარი, არამედ მოზიდული კაპიტალი, რაც მის რისკებს ზრდის.

ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი ასახავს, თუ რამდენჯერ აღემატება წმინდა მოგების ზრდის ტემპი მთლიანი მოგების ზრდის ტემპს, რაც მიიღწევა ეფექტური ფინანსური ბერკეტის საფუძველზე, რომლის შემადგენელ ნაწილსაც წარმოადგენს თანაფარდობა საკუთარ და ნასესხებ კაპიტალებს შორის. ბერკეტის ძალის გადიდება შეიძლება გავლენა მოახდინოს საკუთარი კაპიტალიმოგებასა და შემოსავლიანობაზე (ჯიქია, მ., 2018)

**ცხრილი N 2.5.1. საანალიზო საწარმოს სამართავი კაპიტალი**

<i>მაჩვენებლები</i>	<i>2016 წელი</i>	<i>2017 წელი</i>	<i>2018 წელი</i>
<i>მთლიანი კაპიტალი</i>	55,117	59,940	67,164
<i>ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშზე</i>	(1,834)	(1,050)	(8,483)
<i>კაპიტალი</i>	<b>53,283</b>	<b>58,890</b>	<b>58,681</b>

<i>მთლიანი კაპიტალი</i>	55,117	59,940	67,164
<i>სესხები</i>	31,469	31,782	20,298
<i>სრული ფინანსირება</i>	<b>86,586</b>	<b>91,722</b>	<b>87,462</b>
<i>კაპიტალის თანაფრდობა სრულ დაფინანსებას</i>	<b>0.62</b>	<b>0.64</b>	<b>0.67</b>

როგორც ცხრილიდან ჩანს გაიზარდა ნასესხები კაპიტალის ხვედრითი წონა, შესაბამისად შემცირდა კაპიტალის რენტაბელობა, აგრეთვე შემცირდა ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი და წმინდა მოგება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თუ ლევერიჯის კოეფიციენტი 1-ზე მეტია კომპანია უფრო რისკიანია. მაშასადამე, საანალიზო საწარმოს რისკის დონე 2018 წელს შედარებით გაიზარდა, მაგრამ 1-ზე მეტი არ არის. აქედან გამომდინარე, სს „ქართული ლუდის კომპანიას“ ამ ეტაპზე რისკები არ ახასიათებს.

ანალიზისას შეგვიძლია გამოვიყენოთ ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტები: კაპიტალის ლევერიჯი და პროცენტის ლევერიჯი. კაპიტალის ლევერიჯის კოეფიციენტი შეგვიძლია გავიანგარიშოთ, როგორც  $K = \frac{\text{აქტივები}}{\text{საკუთარი კაპიტალი}}$ . აღნიშნული კოეფიციენტი, საანალიზო საწარმოსათვის 2016 წელს იყო - 1.8; 2017 წელს იყო-1.87; ხოლო 2018 წელს- 1.97. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რაც უფრო მეტია აქტივები კაპიტალზე მით მეტია რისკი, რადგან აქტივების გარკვეული ნაწილი გარედან მოზიდული სახსრებით ფინანსდება. ამ შემთხვევაშიც საანალიზო საწარმოს რისკის დონე დინამიკაში იზრდება.

საწარმოო ლევერიჯი არის საწარმოს მოგებაზე გავლენის პოტენციური შესაძლებლობა პროდუქციის თვითღირებულების სტრუქტურისა და მისი გამოშვების მოცულობის ცვლილებით (ჯიქია, მ., 2018). იგი გვიჩვენებს მთლიანი მოგების მგრძობელობას წარმოების მოცულობის ცვლილების მიმართ. ამ კოეფიციენტის მაღალი დონის არსებობის შემთხვევაში, წარმოების მოცულობის შემცირება ან გაზრდა არსებით გავლენას მოახდენს მოგებაზე. საწარმოო ანუ ოპერაციული ლევერიჯი გაიანგარიშება ორნაირად:

1.  $K = \frac{\text{EBIT-ის \% -ული ცვლილება}}{\text{გაყიდვებიდან ამონაგების \% -ული ცვლილება}}$  სადაც EBIT არის მოგება პროცენტებისა

და გადასახადების გადახდამდე და 2.  $K = \frac{\text{მუდმივი დანახარჯები}}{\text{ცვლადი დანახარჯები}}$

**ცხრილი N 2.5.2. საანალიზო საწარმოს საოპერაციო ლევერიჯის კოეფიციენტები**

<i>მაჩვენებლები</i>	<i>2016</i>	<i>2017</i>	<i>2018</i>
<i>S- შემოსავალი რეალიზაციიდან</i>	60,728	75,044	87,837
<i>FC- მუდმივი ხარჯები</i>	(7,240)	(7,393)	(8,648)
<i>VC- ცვლადი ხარჯები</i>	(10,897)	(15,602)	(16,513)
<i>OC- ჯამი</i>	<b>(18,137)</b>	<b>(22,995)</b>	<b>(25,161)</b>
<i>EBIT- საოპერაციო მოგება</i>	<b>42,591</b>	<b>52,049</b>	<b>62,676</b>
<i>საოპერაციო ლევერიჯის კოეფიციენტები:</i>			
<i>1. FC/OC</i>	0.4	0.32	0.34
<i>2. FC/VC</i>	0.66	0.47	0.5
<i>3. FC/EBIT</i>	0.17	0.14	0.14
<i>4. FC/S</i>	0.12	0.1	0.1

საოპერაციო ლევერიჯის კოეფიციენტების განსხვავებას იწვევს დანახარჯების განსხვავებული სტრუქტურის არსებობა. საანალიზო საწარმოს მაგალითზე, ეს კოეფიციენტი 0.66-დან 0.5-მდე მერყეობს, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია და იმას გულისხმობს, რომ გაყიდვების მოცულობის ზრდა საკმაოდ გაზრდის მოგებასაც, თუმცა საბაზისო წელთან შედარებით 2018 წელს ეს მაჩვენებელი 0.16-ით შემცირდა, რაც საწარმოსთვის არასასურველია.

საწარმო-ფინანსური ლევერიჯი არის განზოგადებული მაჩვენებელი და წარმოადგენს საწარმო და ფინანსური ლევერიჯის ნამრავლს. ის საერთო რისკს გამოხატავს, რაც დაკავშირებულია საშუალებების შესაძლო უკმარისობასთან საწარმო და ფინანსური ხარჯების დასაფარავად (ჯიქია, მ., 2019). საწარმო-ფინანსურ ლევერეჯს ეკონომიკურ ლიტერატურაში ხშირად კომბინირებული

ლევერეჯის სახელითაც შევხვდებით და იგი ასევე შესაძლოა გამოითვალოს

ფორმულით:  $K = \frac{\text{წმინდა მოგების \% - ული ცვლილება}}{\text{რეალიზაციის \% - ული ცვლილება}}$ .

სს „ქართული ლუდის კომპანიის“ საწარმო-ფინანსური ლევერიჯი 2016 წელს უდრიდა  $1.8 \times 0.66 = 1.188$ ; 2017= $1.87 \times 0.47 = 0.8789$ ; ხოლო 2018= $1.97 \times 0.5 = 0.985$  აქედან გამომდინარე კომპანიის საერთო რისკი დაბალია. თუმცა აქვე უნდა ითქვას, ეს კოეფიციენტი 2017 წელს 2016 წელთან შედარებით შემცირდა, თუმცა 2018 წელს ისევ გაიზარდა და თითქმის 1-ის ტოლია, ამიტომ საანალიზო საწარმოსათვის უმჯობესი იქნება, თუ შეამცირებს კომპანიაში გარედან მიღებული სახსრების ხვედრით წილს, რადგან მოზიდულ კაპიტალთან ერთად იზრდება ისეთი ხარჯები, როგორცაა გადასახდელი პროცენტის ხარჯები და ჯარიმები, რისი შემცირებითაც კომპანია თავიდან აიცილებს დამატებით არასაწარმოო ხარჯებს.

## დასკვნა

ისეთ განვითარებად ქვეყნებში, როგორც საქართველოა ხშირია შემთხვევები საწარმოს გაკოტრების, მთლიანად ჩამონგრევის და ათასობით ინვესტორისა თუ მომხმარებლის დაზარალების. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში, ყოველწლიურად, უამრავი საწარმო რეგისტრირდება, მაინც მუდმივ გამოწვევად რჩება ფინანსური მდგომარეობის სრულყოფა, ნებისმიერი ტიპის საწარმოებისათვის.

საკვლევ თემაზე მუშაობისას, ჩვენ განვიხილეთ სს „ქართული ლუდის კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგება. დეტალურად შევისწავლეთ მისი ფინანსური მდგომარეობა, კერძოდ, მისი ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის; ფულადი ნაკადების მოძრაობის; ლევერიჯისა და მდგრადობის მაჩვენებლები. შესაბამისი მონაცემების ანალიზის საფუძველზე გამოვიტანეთ დასკვნები და გავწიეთ რეკომენდაციები. საანალიზო საწარმოს ბუღალტრული ბალანსის ანალიზიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიმდინარე აქტივები აღემატება მიმდინარე ვალდებულებებს (23,168) რაც ნიშნავს იმას, რომ საწარმოს შეუძლია მიმდინარე ვალდებულებების დროულად დაფარვა. საანალიზო საწარმოში საერთო ლიკვიდობის მაჩვენებელი 2016=1.72; 2017=1.53, ხოლო 2018 – 2.15-ის ტოლია რაც იმას ნიშნავს, რომ არ ექნება გადაუხდელი ვალდებულებები და არ წარმოიშვება საშიშროება დამატებითი ხარჯების გაწევის, აგრეთვე საერთო ლიკვიდობის კოეფიციენტი წლის განმავლობაში (დინამიკურად) დაახლოებით 9%-ით იზრდებოდა, რაც საწარმოსთვის პოზიტიური მოლოდინების მომცემია. ლიკვიდობის კოეფიციენტის მეშვეობით, შეგვიძლია გამოვიანგარიშოთ გადახდისუნარიანობის ასლდგენის კოეფიციენტი:

$$K_{\text{ასლ}} = \frac{K_{\text{დას}} + \frac{6}{T}(K_{\text{ბალ}} - K_{\text{დას}})}{2},$$

ეს მაჩვენებელი 2016 წელს-K= 0.81, ხოლო 2017 წელს 0.92, ანუ ასლდგენის კოეფიციენტი 1-ზე ნაკლებია, რაც გვიჩვენებს იმას, რომ საწარმოს გადახდისუნარიანობის ასლდგენა სწრაფად, ანუ 6 თვის განმავლობაში არ შეუძლია.



ჩვენი საანალიზო საწარმოს მაგალითზე ჩანს, რომ მისი მარაგების უმეტესი ნაწილი იფარებოდა საკუთარი საბრუნავი სახსრებით, 2016 წელს 79.79%; 2017 წელს 71%, ხოლო 2018 წელს სრულად დაფარა (130%) მარაგები საკუთარი საბრუნავი საშუალებებით, რაც თავისთავად გულისხმობს იმას, რომ მარაგებში საწარმოს საკუთარი სახსრები აქვს დაბანდებული და არა მოზიდული, რაც მის გადახდისუნარიანობას ამყარებს. აქვე ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ დინამიკაში, საკუთარი საბრუნავი საშუალებები იზრდება, თუმცა მისი სიდიდე მიმდინარე ვალდებულებებს, მხოლოდ 2018 წელს აჭარბებს (23,168>20,236). საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, მიიჩნევენ, რომ საკუთარი საბრუნავი საშუალებები, მიმდინარე ვალდებულებების ნახევრის ტოლი მაინც უნდა იყოს, რაც ჩვენი საანალიზო საწარმოს შემთხვევაში მიიღწევა.

აღსანიშნავია, რომ საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი სამივე წელს 0.5-ზე მაღალია (2016-0.56; 2017-0.54; 2018-0.51), რაც იმას გულისხმობს, რომ კომპანია ინარჩუნებს სტაბილურობის დონეს საკუთარ კაპიტალში, თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 2018 წელს, წინა წლებთან შედარებით ეს კოეფიციენტი ჯერ 0.02-ით, ხოლო შემდეგ 0.03-ით შემცირდა, რაც იმის მანიშნებელი შეიძლება იყოს, რომ საწარმო უნდა შეეცადოს შემდეგ წელს ამ კოეფიციენტის გაუმჯობესებას. საკუთარი და ნასესხები სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი საანალიზო პერიოდში მუდამ აღემატება მინიმალურ ზღვარს- 1-ს, თუმცა მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს რომ ეს კოეფიციენტი 2017 წელს 0.1-ით, ხოლო 2018 წელს- 0.14-ით შემცირდა და მინიმალურ ზღვარს ოდნავ აჭარბებს, რაც მიგვანიშნებს, რომ საწარმოში იზრდება ნასესხები სახსრების რაოდენობა და კომპანიამ ამ მიმართულებით უნდა დაიწყოს მუშაობა. მიუხედავად იმისა, რომ საკუთარ საბრუნავ საშუალებებშია დაბანდებული საკუთარი სახსრების დიდი ნაწილი, ეს გარანტიას არ იძლევა იმისას, რომ საანალიზო საწარმოში გარედან მოზიდული სახსრები საფრთხეს არ შეუქმნის მის სტაბილურობას, ეს ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად მოქნილი და ლიკვიდურია საკუთარი საბრუნავი საშუალებები. ზემოთ აღნიშნულიდან

გამომდინარე, ჩვენ გავცემთ შემდეგ რეკომენდაციას, ფინანსური გაჯანსაღებისათვის: იმისათვის, რომ კომპანიამ თავიდან აირიდოს დიდი რაოდენობით გარე წყაროებიდან შემოსული სახსრები, უარი უნდა თქვას დივიდენდების გაცემაზე, რისთვისაც საჭიროა აქციონერების დარწმუნება იმაში, რომ ეს ანტიკრიზისული პოლიტიკა, შემდგომში მოგვცემს უფრო მაღალი დივიდენდების გაცემის საშუალებას.

კვლევისას ასევე ვნახეთ, რომ საწარმოს 2017-2018 წლებში საკმაოდ დიდი რაოდენობით ამოუღებელი დებიტორული დავალიანება ჰქონდა. ფინანსური გაჯანსაღებისათვის, ამ მხრივ ჩვენი რეკომენდაცია იქნება, რომ გამოიყენოს ფაქტორინგული მომსახურება, რაც გულისხმობს ბანკისათვის ან ფაქტორინგული კომპანიისათვის დებიტორული დავალიანების ამოღების უფლების გადაცემას. ეს მომსახურება ბანკთან მიმართებაში უფრო მომგებიანი იქნება, თუ ბანკს შევთავაზებთ, ჩვენი დავალიანების დროულად დაფარვას, დებიტორული დავალიანებების ამოღების უფლების გადაცემის სანაცვლოდ. ვფიქრობთ, ამ ანტიკრიზისულ გეგმასთან დაკავშირებული დანახარჯების ანალიზი კომპანიის ფინანსურ მენეჯერს დაეხმარება გარედან მოზიდული სახსრების შემცირებაშიც.

საანალიზო საწარმოს ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზისას ირკვევა, რომ კომპანიას ფულის ბრუნვასთან დაკავშირებით არასასურველი ტენდენცია ახასიათებს, კერძოდ აქვს ფულის დეფიციტი. მიუხედავად ამისა, მას აქტივების დიდი ნაწილი საკუთარი საშუალებებით აქვს დაბანდებული, თუმცა ცოტა მეტადაა გაზრდილი გარედან მოზიდული სახსრების რაოდენობა, თუმცა რადგან ეს ყველაფერი ჯერ საწყის სტადიაზეა, შესაძლებელია მისი დროულად აღმოფხვრა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საწარმოს ლევერიჯის კოეფიციენტი არის 0.2758, რაც საკმაოდ დაბალია. ჩვენი რეკომენდაციაა - ფულადი საშუალებების დეკადური გრაფიკის შედგენა გაყიდვების, ფულადი სახსრების გადინების, ხელფასების გაცემისა და კრედიტორული დავალიანებების დაფარვაში მოსალოდნელი შეფერხებების გათვალისწინებით. უნდა შედგეს გრაფიკი იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი

თანმიმდევრობით უნდა დაიფაროს კრედიტორული დავალიანებები. იმისათვის რომ ფულადი საშალებების დეფიციტი გამოსწორდეს, საანალიზო საწარმოსათვის, რეკომენდირებულია ეფექტური ფასწარმოების პოლიტიკის შემუშავება, სწორი დივიდენდური პოლიტიკის შემუშავება, გამოუყენებელი მარაგებისა და ქონების რეალიზაცია და საგადასახადო პოლიტიკის გადახედვა.

სს „ქართული ლუდის კომპანიის“ შემოსავალი მთლიანად მიღებულია საბითუმო მომხმარებლებისაგან. 2017 წელს კომპანიის შემოსავლის დაახლოებით 51% მიეკუთვნება ერთიან შიდა მომხმარებელთან გაყიდვების ოპერაციებს. 2018 წელს მიღებული შემოსავლების 94% ადგილობრივი წყაროებიდანაა მიღებული, ხოლო 6% ექსპორტიდან.

როგორც ვხედავთ, საწარმო მომგებიანია, თუმცა ასევე აქვს უამრავი საფრთხე, რამაც შესაძლოა იგი 1-2 წელიწადში გადახდისუუნარო გახადოს, ამისათვის საწარმომ მიღებული მოგება გონივრულად უნდა გამოიყენოს. რაც იმას ნიშნავს, რომ ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებას საწარმო უნდა ეცადოს შიდა რეზერვებით და მაქსიმალურად აარიდოს თავი გარედან მოზიდულ სახსრებს.

გარდა მიღებული მოგების გონივრულად განაწილებისა, ანალიზისას დავინახეთ, რომ საწარმოში არ ხდება ისეთი არასაწარმოო ხარჯების დეტალური აღირცხვა, როგორებიცაა: დანაკარგები შეკვეთისა და ხელსაყრელი ბაზრების დაკარგვაზე; პროდუქციის ერთეულზე გადაჭარბებული ხარჯვა; მასალების გაფუჭება და სხვა მოულოდნელობებისაგან მიღებული ხარჯები. ჩვენი რეკომენდაციაა, რომ ფინანსური გაჯანსაღებისათვის კომპანიამ დანერგოს რესურსების დამზოგავი ტექნოლოგიები, რაც საშუალებას მისცემს საწარმოს, რომ გამოიყენოს მეორეული ნედლეული წარმოებაში და მოახდინოს შესასრულებელი სამუშაოების დივერსიფიკაცია ძირითადი მიმართულებების მიხედვით, რაც საშუალებას მისცემთ, რომ ერთი მიმართულების დანაკარგები, მეორე მიმართულების მოგებით დაფარონ და შეინარჩუნონ ფინანსური სტაბილურობა.

საბოლოო ჯამში საწარმო დინამიკაში სტაბილურად მდგრადია, სწორად ვითარდება, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მენეჯმენტმა რომელიმე საკითხზე ყურადღება უნდა მოაღუნოს, განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ კომპანიას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გამო შესაძლოა წარმოექმნას ისეთი რისკები, როგორცაა: საკრედიტო რისკი, ლიკვიდურობის რისკი და საბაზრო რისკი. ამიტომ, ჩვენი მხრიდან კომპანიის მმართველობისათვის რეკომენდაცია იქნება, რომ იმსჯელონ და შეაფერხონ გარე წყაროებიდან დახმარებების მიღება. ჩვენი აზრით, ამ ეტაპზე ყველაზე დიდ რისკს საწარმოსთვის იმის საშიშროება წარმოადგენს, რომ მოზიდულმა სახსრებმა არ გადააჭარბონ საკუთარ სახსრებს. შესაბამისად, რეკომენდირებულია, რომ საწარმომ გარე სახსრების თავიდან არიდებასთან ერთად გადახედოს საფასო პოლიტიკას, გააანალიზოს გაყიდვების გაზრდისათვის საჭირო ხომ არ არის აქტიური სარეკლამო პოლიტიკის გატარება და ამასთან დეტალურად შეისწალოს დღეს, საქართველოში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა, რადგან ქვეყანაში არსებობს სერიოზული კრიზისი და არასწორმა საბაზრო პოლიტიკამ, შესაძლოა მისი გაყიდვები ძალიან შეამციროს.

## ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

1. ბარბაქაძე, ხ., (2012). ლიკვიდობისა და რენტაბელობის მაჩვენებლების დაბალანსების შესახებ. *ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი*, 2, 155-165;
2. ბარბაქაძე, ხ., (2019). *ფინანსური მენეჯმენტი*. მასალა წარმოდგენილია ფინანსური მენეჯმენტის სალექციო კურსზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი;
3. ბასს 1. (2019). *ფინანსური ანგარიშგების წარდგენა*. თბილისი;
4. ბასს 7. (2019). *ფულადი ნაკადების ანგარიშგება*. თბილისი;
5. ბურდული, ფ., & მესხია, ი. (რედ). (2002). *ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის აქტუალური საკითხები* (მე-2 გამ). თბილისი: [გ.გ.];
6. ვან ჰორნი, ჯ.ს., & ვაჰოვიჩი, ჯ.ნ. (2013). *ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები* (12-ე გამ). თბილისი: საქართველოს მაცნე;
7. თურმანიძე, თ., & ერიაშვილი, ნ.დ., (რედ). (2014). *ფინანსური ანალიზი*. თბილისი: სამართლიანი საქართველო;
8. კვატაშიძე, ნ., (2018). *ფინანსური აღრიცხვა 2*. მასალა წარმოდგენილია ფინანსური აღრიცხვა მე-2 დონის სალექციო კურსზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი;
9. კვატაშიძე, ნ., ხორავა, ა., & გოგრიჭიანი, ზ., (2011). *ფინანსური ანგარიშგება*. თბილისი: მერიდიანი;
10. კვატაშიძე, ნ., ხორავა, ა., სრესელი, ნ., & გოგრიჭიანი, ზ., (2014). *ბუღალტრული აღრიცხვა*. თბილისი: მერიდიანი;
11. კოვზანაძე, ი., (2001). *ლიკვიდობის ცნების განსაზღვრისთვის*. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. თბილისი: მაცნე, გვ. 109-121.
12. ლიპარტია, ზ., (2017). *ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური აუდიტის ადმინისტრირება საქართველოში*. მონოგრაფია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი;

13. ლიპარტია, ზ., (2007). *ეკონომიკური ანალიზი. (ნაწილი I – ეკონომიკური ანალიზის თეორია)*. თბილისი: უნივერსალი;
14. მუნჯიშვილი, თ., (2005). *საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების ლოგიკურ-ალბათური მოდელი*. თსუ-ს შრომები, თბილისი;
15. საბაური, ლ., კვატაშიძე, ნ., & სრესელი ნ., (2017). *ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სრულყოფის გზები მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოებში*. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი;
16. სრესელი, ნ., სრესელი, რ., & ჯიქია, მ. *ფულადი ნაკადების ანგარიშგების ძირითადი ასპექტები*
17. სს „ქართული ლუდის კომპანია“, წლიური ანგარიშგება, 2018;
18. სს „ქართული ლუდის კომპანია“, წლიური ანგარიშგება, 2017;
19. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდი:  
<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/64/biznes-registri>
20. ტყემელაშვილი, გ., კიწმარიშვილი, ქ., & კილაძე თ., (2011). *ეკონომიკური ანალიზი*. ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი;
21. ჩეჩელაშვილი, ა., (2013). *ფინანსური მდგომარეობისა და მდგრადობის გაუმჯობესების გზები ლუდის და უალკოჰოლო სასმელების წარმოებაში*. დისერტაცია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი;
22. ჭილაძე, ი., (2018). *ფინანსური ანალიზი (მე-3 გამ)*. თბილისი: მერანი;
23. ჭილაძე, ი., & გოგრიჭიანი ზ., (2011). *ეკონომიკური ანალიზი (თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა)*. თბილისი: მერიდიანი;
24. ხარაბაძე, ე., საბაური, ლ., სრესელი, ნ., კვატაშიძე, ნ., & ჯიქია, მ., (2016). *შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების რეზერვები*. მონოგრაფია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი;

25. ცირამუა, ე., (2007). *სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზი*. თბილისი;
26. ცირამუა, ე., (2011). *ეკონომიკური ანალიზი*. თბილისი;
27. ჯალაღონია, დ., & მესხია, ი., (რედ). (2011). *ბუღალტრული აღრიცხვა საერთაშორისო სტანდარტებით*. თბილისი: ინოვაცია;
28. ჯიქია, მ., ჩეჩელაშვილი, რ., & ბურდული, ფ., (2018). *ეკონომიკური ანალიზი*. თბილისი: მერიდიანი;
29. ჯიქია, მ. (2019). *ფინანსური ანალიზი*. (საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით). თბილისი: მერიდიანი;
30. Altman, E.I., (2002). *Bankruptcy, Credit Risk, and High Yield Junk Bonds*. (1st edit).USA: Wiley-Blackwell.;
31. Altman E.I., (2000) *Predicting Financial Distress Of Companies: Revisiting The Z-Score And Zeta, Models*. Journal of Banking & Finance, 1, 1977;
32. Bragg S.M., (2012). *Fiancial analyzis: A Controller's Guide*. (2<sup>nd</sup> edit). Published by John Wiley & Sons Inc.2007;
33. Fridson, M., & Alvarez, F., (2011). *Financial statement analyzis*. (3rd edit). New Jersey: Published by John Wiley & Sons Inc;
34. F2, (2014). *მმართველობითი აღრიცხვა*. ACCA,თბილისი: ბაფ;
35. F7, (2014). *ფინანსური ანგარიშგება*. ACCA, თბილისი: ბაფ;
36. F9, (2014). *ფინანსური მართვა*. ACCA, თბილისი: ბაფ;
37. VanHorne, J.C., & Wachowicz, J.M., (2009). *Fundamentals of Financial Management* (13th edit). England: FT Prentice Hall;
38. Анализ финансовой устойчивости  
<https://www.audit-it.ru/finanaliz/terms/solvency/#ref371948>
39. Баканов, М.И., Мельник, М.В., & Шеремет, А.Д., (2007). Теория экономического анализа. Москва: Финансы и статистика;

40. Методы прогнозирования денежных потоков; Анализ и оценка процесса управления денежными потоками предприятия ООО "Конди".

[https://studbooks.net/1627461/finansy/metody\\_prognozirovaniya\\_denezhnyh\\_potokov?fbclid=IwAR05yXnBUjSFdNtV9Tjp99sOj7g7xLwyo1dumo0ddMFuU713VkMOIx5Zbk8](https://studbooks.net/1627461/finansy/metody_prognozirovaniya_denezhnyh_potokov?fbclid=IwAR05yXnBUjSFdNtV9Tjp99sOj7g7xLwyo1dumo0ddMFuU713VkMOIx5Zbk8)

41. Федотова, М.А., (2015) Влияние оборачиваемости активов и обязательств на платежеспособность организации. Журнал Известия Иркутской государственной экономической академии №1.

<http://1fin.ru/?id=1611&ht=7999&w=%D1%84%D0%B5%D0%B4%D0%BE%D1%82%D0%BE%D0%B2%D0%B0+%D0%BC+%D0%B0>



# დანართი

## დანართი №1 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

სს „ქართული ლუდის კომპანია“  
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

000' ლარი	შენიშვნები	31 დეკემბერი 18	31 დეკემბერი 17
<b>აქტივები</b>			
ძირითადი საშუალებები	12	82,233	76,817
არამატერიალური აქტივები		95	114
გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები		3,069	49
სხვა გრძელვადიანი აქტივები		162	163
მეცემიერე საწარმოებში ფლობილი ინვესტიციები	13	3,485	3,801
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>		<b>89,044</b>	<b>80,944</b>
<b>მარაგები</b>	14	17,808	15,112
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15	17,113	14,825
ფულადი სახსრები და საბანკო ნაშთები	16	8,483	1,050
მიმდინარე აქტივები		43,404	30,987
<b>სულ აქტივები</b>		<b>132,448</b>	<b>111,931</b>
<b>კაპიტალი</b>	17		
სააქციო კაპიტალი		56,520	56,520
გაუნაწილებელი მოგება		10,644	3,420
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>67,164</b>	<b>59,940</b>
<b>სესხები და ვალდებულებები</b>	18	20,298	31,782
ობლიგაციები	18	24,750	-
<b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>		<b>45,048</b>	<b>31,782</b>
<b>სესხების და ვალდებულების მიმდინარე წილი</b>	18	10,470	7,604
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19	9,395	8,523
საინვესტიციო ვალდებულებები		-	3,888
მიმდინარე გადასახადი		371	194
მიმდინარე ვალდებულებები		20,236	20,209
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>65,284</b>	<b>51,991</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>		<b>132,448</b>	<b>111,931</b>

დანართი №2 მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

*სს „ქართული ლუდის კომპანია“  
2018 წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება*

'000 ლარი	შენიშვნები	2018	2017
შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან	6	87,834	75,044
გაყიდვების თვითღირებულება	7	(49,540)	(36,890)
<b>მთლიანი მოგება</b>		<b>38,294</b>	<b>38,154</b>
გაყიდვის და დისტრიბუციის ხარჯები	9	(16,513)	(15,602)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(8,648)	(7,393)
გაუფასურების ზარალი სავაჭრო მოთხოვნებზე		(323)	(445)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		1,018	15
სხვა საოპერაციო ზარალი	10	(3,945)	(3,833)
<b>საოპერაციო საქმიანობის შედეგები</b>		<b>9,883</b>	<b>10,896</b>
ფინანსური შემოსავალი	11	505	-
ფინანსური ხარჯები	11	(2,701)	(6,073)
<b>წმინდა ფინანსური ხარჯები</b>		<b>(2,196)</b>	<b>(6,073)</b>
მეკავშირე საწარმოს ზარალის წილი			
გადასახადების გამოკლებით	13	(316)	-
<b>მოგება დაზღვევამდე</b>		<b>7,371</b>	<b>4,823</b>
მოგების გადასახადი		-	-
<b>მოგება და წლის სხვა სრული შემოსავალი</b>		<b>7,371</b>	<b>4,823</b>

დანართი №3 საკუთარ კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

სს „ქართული ლუდის კომპანია“  
2018 წლის კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

	კომპანიის კაპიტალის მფლობელებზე მიკუთვნებადი (დაგროვილი ზარალი)/		
	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	56,520	(1,403)	55,117
სულ სრული შემოსავალი მოგება და სულ წლის სრული შემოსავალი	-	4,823	4,823
<b>ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>56,520</b>	<b>3,420</b>	<b>59,940</b>
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	56,520	3,420	59,940
კორექტირება ფასს 9-ის გამოყენებაზე (იხ. შენიშვნა 5)	-	(147)	(147)
<b>კორექტირებული ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს</b>	<b>56,520</b>	<b>3,273</b>	<b>59,793</b>
სულ სრული შემოსავალი მოგება და სულ წლის სრული შემოსავალი	-	7,371	7,371
<b>ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>56,520</b>	<b>10,644</b>	<b>67,164</b>

დანართი №4 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

(არაპირდაპირი მეთოდი)

სს „ქართული ლუდის კომპანია“  
2018 წლის ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნა	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან			
მოგება მოგების გადასახადის გადახდამდე		7,371	4,823
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		10,655	8,911
ზარალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		310	286
უიშედო ვალის ხარჯი		323	445
შეკვეთილ სანარჩოს ზარალის წილი გადასახადების გამოკლებით		316	-
წმინდა ფინანსური ხარჯები		2,196	6,073
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან		21,171	20,538
საზრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე		(3,898)	(3,702)
ცვლილება მარაგებში		(2,738)	(6,861)
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(601)	-
ცვლილება მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებში		507	1,892
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან მოგების გადასახადის გადახდამდე		14,441	11,867
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან		14,441	11,867
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(16,044)	(8,873)
კაპიტალის საინვესტიციოს შეძენა		(3,731)	-
საინვესტიციო საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(19,775)	(8,873)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობებიდან			
შემოსავლები სესხებიდან	18(ბ)	133,771	5,078
სესხების დაფარვა	18(ბ)	(117,848)	(7,512)
გადახდილი პროცენტი	18(ბ)	(3,187)	(1,544)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობებიდან/ (გამოყენებული ფინანსურ საქმიანობებში)		12,736	(3,978)
წმინდა მატება(კლება) ფულადი სახსრებსა და საბანკო ნაშთებზე		7,402	(984)
ფულადი სახსრები და საბანკო ნაშთები 1 იანვარს		1,050	1,834
გაცვლითი კურსის მოძრაობის გავლენა ფულად სახსრებსა და საბანკო ნაშთებზე		31	200
ფულადი სახსრები და საბანკო ნაშთები 31 დეკემბერს	16	8,483	1,050

დანართი №5 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

JSC Georgian Beer Company  
Statement of Financial Position as at 31 December 2017

'000 GEL	Notes	31 December 2017	31 December 2016
<b>Assets</b>			
Property, plant and equipment	10	76,817	76,116
Intangible assets		114	136
Prepayments for non-current assets		49	1,067
Equity accounted investee	11	3,801	-
Other non-current assets		163	163
<b>Non-current assets</b>		<b>80,944</b>	<b>77,482</b>
Inventories	12	15,112	11,410
Trade and other receivables	13	14,825	8,422
Cash and cash equivalents	14	1,050	1,834
<b>Current assets</b>		<b>30,987</b>	<b>21,666</b>
<b>Total assets</b>		<b>111,931</b>	<b>99,148</b>
<b>Equity</b>			
Share capital	15	56,520	56,520
Retained earnings/(accumulated losses)		3,420	(1,403)
<b>Total equity</b>		<b>59,940</b>	<b>55,117</b>
Loans and borrowings	16	31,782	31,469
<b>Non-current liabilities</b>		<b>31,782</b>	<b>31,469</b>
Loans and borrowings	16	7,604	6,070
Trade and other payables	17	8,523	6,492
Payable for equity accounted investee	11	3,888	-
Current income tax payable		194	-
<b>Current liabilities</b>		<b>20,209</b>	<b>12,562</b>
<b>Total liabilities</b>		<b>51,991</b>	<b>44,031</b>
<b>Total liabilities and equity</b>		<b>111,931</b>	<b>99,148</b>

დანართი №6 მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების  
ანგარიშგება

*JSC Georgian Beer Company*  
*Statement of Profit or Loss and Other Comprehensive Income for 2017*

'000 GEL	Notes	2017	2016
Revenue from sale of goods		75,044	60,728
Cost of sales	5	(36,890)	(31,434)
<b>Gross profit</b>		<b>38,154</b>	<b>29,294</b>
Selling and distribution expenses	7	(15,602)	(10,897)
General and administrative expenses	6	(7,393)	(7,240)
Bad debt expenses		(445)	(450)
Other operating income		15	1,155
Other operating expense	8	(3,833)	(2,901)
<b>Results from operating activities</b>		<b>10,896</b>	<b>8,961</b>
Finance income	9	-	323
Finance costs	9	(6,073)	(4,784)
<b>Net finance costs</b>		<b>(6,073)</b>	<b>(4,461)</b>
<b>Profit before income tax</b>		<b>4,823</b>	<b>4,500</b>
Income tax benefit		-	210
<b>Profit and other comprehensive income for the year</b>		<b>4,823</b>	<b>4,710</b>

დანართი №7 საკუთარ კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

*JSC Georgian Beer Company*  
*Statement of Changes in Equity for 2017*

'000 GEL	<u>Attributable to equity holders of the Company</u>			
	<u>Share capital</u>	<u>Unpaid share capital</u>	<u>Retained earnings/ (accumulated losses)</u>	<u>Total equity</u>
Balance as at 1 January 2016	70,770	(14,250)	(4,213)	52,307
<b>Total comprehensive income</b>				
Profit and total comprehensive income for the year	-	-	4,710	4,710
<b>Transactions with owners of the Company</b>				
Dividends	-	-	(1,900)	(1,900)
Reduction of share capital	(14,250)	14,250	-	-
<b>Total transactions with owners of the Company</b>	<b>(14,250)</b>	<b>14,250</b>	<b>(1,900)</b>	<b>(1,900)</b>
<b>Balance as at 31 December 2016</b>	<b>56,520</b>	<b>-</b>	<b>(1,403)</b>	<b>55,117</b>
Balance as at 1 January 2017	56,520	-	(1,403)	55,117
<b>Total comprehensive income</b>				
Profit and total comprehensive income for the year	-	-	4,823	4,823
<b>Balance as at 31 December 2017</b>	<b>56,520</b>	<b>-</b>	<b>3,420</b>	<b>59,940</b>

დანართი №8 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

(არაპირდაპირი მეთოდი)

*JSC Georgian Beer Company  
Statement of Cash Flows for 2017*

'000 GEL	Note	2017	2016
<b>Cash flows from operating activities</b>			
Profit before income tax		4,823	4,500
<i>Adjustments for:</i>			
Depreciation and amortisation		8,911	8,048
Loss on disposal of property, plant and equipment		286	-
Bad debt expense		445	450
Net finance costs		6,073	4,461
<b>Cash from operating activities before changes in working capital</b>		<b>20,538</b>	<b>17,459</b>
Change in inventories		(3,702)	(2,351)
Change in trade and other receivables		(6,861)	(1,421)
Change in trade and other payables		1,892	(555)
<b>Cash flows from operations before income taxes paid</b>		<b>11,867</b>	<b>13,132</b>
<b>Net cash from operating activities</b>		<b>11,867</b>	<b>13,132</b>
<b>Cash flows from investing activities</b>			
Acquisition of property, plant and equipment		(8,873)	(19,507)
Acquisition of intangible assets		-	(72)
Acquisition of other non-current assets		-	(274)
<b>Net cash used in investing activities</b>		<b>(8,873)</b>	<b>(19,853)</b>
<b>Cash flows from financing activities</b>			
Proceeds from borrowings	16(b)	5,078	83,971
Repayment of borrowings	16(b)	(7,512)	(74,305)
Interest paid	16(b)	(1,544)	(2,403)
<b>Net cash (used in)/from financing activities</b>		<b>(3,978)</b>	<b>7,263</b>
<b>Net (decrease)/increase in cash and cash equivalents</b>		<b>(984)</b>	<b>542</b>
Cash and cash equivalents at 1 January		1,834	1,272
Effect of movements in exchange rates on cash and cash equivalents		200	20
<b>Cash and cash equivalents at 31 December</b>	14	<b>1,050</b>	<b>1,834</b>



დანართი №9 ბიზნეს რეგისტრი (წყარო: <https://www.geostat.ge/>)

სანარმოთა დეკლარირებული მონაცემები

	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
რეგისტრირებულ ორგანიზაციათა რაოდენობა წლების მიხედვით - ნაზარდი ჯამი, ათასი	498,8	534.5	571.6	596.7	634.1	679.3	722.9	765.7
მათ შორის: მოქმედ ორგანიზაციათა რაოდენობა, ათასი	127.6	131.0	134.8	164.4	167.5	165.2	164.9	183.8
რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა წლების მიხედვით - ნაზარდი ჯამი, ათასი	473.8	507.7	543.3	566.6	601.1	643.9	686.3	727.8
მათ შორის: მოქმედ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა, ათასი	121.7	124.9	128.5	158.0	160.9	158.6	158.3	176.7
ახლადრეგისტრირებულ ორგანიზაციათა რაოდენობა წლების მიხედვით, ათასი	42.6	46.7	47.1	45.9	48.3	52.7	51.8	50.9
მათ შორის: ახლადრეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა, ათასი	41.3	44.8	45.5	44.0	45.4	50.1	50.4	49.6